№ 2774
პარასკევი,
18 მარტი

ცნობის ფურცელი

№ 2774
პარასკევი,
18 მარტი

ფასი ლირა: წელიწადში—6 მ. თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც.“ რედაქციის კანტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და კამპ. განცხადებათა კანტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1905

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 37.

ნატალია შუშის ასული თოფურიძისა, ალექსანდრა მიხეილის ასული გამრეკელი, მარიამ და ქეთევან მიხეილის ასულნი თოფურიძენი, აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ცხრამეტ ამა მარტს დანიშნულია ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი—პირველის ქმრისა და უკანასკნელების მამის

მიხეილ ბესარიონის ძის თოფურიძისა

სოფ. აბაშაში. (1—6ბ.—1)

ნატალია მათეს ასული და ვასილ იაკობის ძე გლურჯიძენი, დარია ვასილის ასული კნ. ლიონიძისა, ალექსანდრა ვასილის ასული კნეინა ციციშვილისა და ვლადიმერ ვასილის ძე გლურჯიძე გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს გარდაცვალებას პირველნი ორი შვილისას და დანარჩენნი ძმისას

გიორგი ვასილ ის ძე გლურჯიძისა.

პანაშვიდი დანიშნულია თელავს სობოროში 21 მარტს წირვის შემდეგ. ვთხოვთ ნათესავთა და ნაცნობთა პატივი გვცენ. (2—6.—1)

კახური ღვინოების საწყობი

თ. გ. ა. ანდრონიკაშვილისა

ვაჭრობა დავიწყე 5 მარტიდან და ვყიდი საუკეთესო ღვინოებს **გურჯაანულს** ბოთლი 20 კ.' **ახტალისა** 30 კაპ. და **მუკუზნის** 40 კაპ. ვინც ათ ბოთლზე მეტს იყიდის სახლში გაეგზავნება ჩემი ბიჭის ხელით. მიხეილის პროსპექტი № 81. ტელეფონი № 853. (1—112—1)

ძმ. ნიკიტინების ცირკი.

ცირკი იხურება.

პარასკევს 17 მარტს, დიდი წარმოდგენა 3 განყოფილებად. სხვათა შორის საღამოს ასე 11 საათზე გაიმართება ორი **კავკასიური ჭიდაობა**. განთქმული ჰერკულესი **რომო** დაეჭიდება დაუძლეველ ფალავანს **კობილაშვილს**. გამარჯვებულს 25 ს. დირექციისაგანაც ქეტონი. დღეს საზოგადოება დაინახავს ვინ, უფრო ფალავანია, რომო თუ კობილაშვილი. მეორე ჭიდაობა: ცნობილი ფალავანი **ჯიბგირი** დაეჭიდება განთქმულ ფალავანს **ოტოლაშვილს**. გამარჯვებულს ვერცხლის საათი. დასასრულ კომიკური პანტომიმა. დაწვრილებით პროგრამაში. დასაწყისი საღამოს 8½ საათ. (1—1)

ტფილისის დურგალთა ამხანაგობის

წლიური კრება

დანიშნულია კვირისათვის, 20 მარტს, დილის 10 საათზედ, საამხანაგო ქარხანაში, ელისაბედის ქუჩაზედ, სახლი № 25.

ეს **კრება მეორედ ინიშნება** თანხმად ჩვენი წესდების 41 მუხლისა, და რამდენი წევრიც უნდა დაესწროს კრება მაინც **კანონიერად ჩაითვლება** და ყოველგვარი გარდაწყვეტილება სავალდებულო იქნება არ დამსწრე წევრთათვისაც. **განსახილველი საგნები** იგივეა რაც 13 მარტისთვის გამოვაცხადედ. უმორჩილესად ვთხოვთ ჩვენს წევრებს ეს განცხადება **ერთმანეთში გაავრცელონ.**

გამგეობის თავმჯდომარე **გიგო თოიძე.** (2—6.—1)

პარასკევს, 25 მარტისთვის, დილის 10 საათზე, ტფილისის ქალაქის საბჭოს დარბაზში დანიშნულია პირველი **საზოგადო კრება კავკასიაში ბეჭდვითი საქმის მოღვაწეთა ურთ-ერთ დამხმარებელ საზოგადოებისა.**

იმათ, ვისაც საზოგადოების წევრობა სურს, შეუძლიანთ ჩაეწერნენ ს. კ. მიხაილოვთან („ტიფლ. ლისტ.“-ის რედაქცია), ა. გ. ჯაბადართან („ცნ. ფურ.“ რედაქცია) და რ. ა. იოანესიანთან (ქალაქის საკრ. საზოგადოება); აგრეთვე კრების დღეს საბჭოს დარბაზის შესავალში.

სასტალრო სახელოსნო

იოსებ მაჭავარიანისა

იღებს შემოკვეთას ყველანაირ ავეჯისას, ყველასათვის ხელმისაწვდენ ფასში. იქვე იყიდება დამზადებული წიგნების და ბუფეტის შკაფები და სასადილო სტოლები. ელისაბედის ქუჩა № 19. (10—6.—1)

ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობა

„კოლხიდა“-სთან

იყიდება: **ნერგები** დამყნილ ვაზისა, ხეხილისა, ბჟოლისა (თუთისა). **თესლეულობა—აბრეშუმისა** ([illegible]), **ბამბისა, ბოსტნეულისა,** [illegible] შაბიამანი, გოგირდი, სამეურნეო ია[illegible] მანქანები. ქართული პრეისკურანტი უფასოდ. (10—6.—1)

ექიმი

[illegible] ა. გოკიელოვი

[illegible] ავადმყოფებს: სიფილისის, ვენერიულის, შიგნეულის და ნერვების. მიხაილოვის ქ. № [illegible] სახლი. დილის 9—12 საათ. და საღამო[illegible]8 საათამდე.

ქ. ბათუმში

ექიმი ა. გ. მაღალაშვილი

[illegible] შინაგანის და ბავშვების სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—10 საათამდის. [illegible] ტფილისის და ვლადიკავკავის ქუჩების კუთხეში. [illegible] ბანკის სახლი. (60—403—37)

ბავშვების ექიმი

ა. ი. ბალარჯიშვილი

[illegible] უნივერსიტეტის ბავშვთა სნეულებათა კლინიკის ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს მხოლოდ 15 წ. ასაკამდე ყოველ დღე 11—12 წ. მიხეილის პრ. № 115. ნემეცების ეკლესიის ზერ-[illegible] ტელეფ. 729. (30—91—11)

ექიმი

ა. ნ. დიასამიძე

მიიღებს ავადმყოფებს: სიფილისის, კა[illegible]ის და ვენერიულის ყოველ დღე დილის 9—11-მდე და საღამოს 6—8-მდე, გარდა კვირის საღამოსი. ლორის-[illegible]ვის და ბებუთოვის ქუჩების კუთხე, მესხიშვილის [illegible] ფოსტის პირდაპირ № 18. (60—28—38)

ტფილისის

კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

- გ. ი. ხიჟნიაძე. კბილის 8—9 საათ.
- გ. გ. მაღალაშვილი. შინაგანი ოთხშაბ. 9—10 საათ. და კვირაობით 9—11 საათ.
- ა. ი. ბალარჯიშვილი.—ბავშვებისა. 9½—10½ ს.
- ნ. ტ. მუღინი.—ყურისა, სასისა და ცხვ. 10—11.
- ვ. დ. [illegible].—შინაგ. სამშ., ხუთშ., პარასკ. და შაბათობით 11—12.
- გ. მ. მაჭახელოვი. შინაგ. და ბავშვ. 12—1.
- ი. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, და ნერვებისა 12—1 ს.
- ქალი გ. ქ. ილხელიანი.—ქალისა და სა[illegible], სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.
- ქ. ნ. [illegible]ასაიძე.—ვენერიული და კანისა 12½—1½ საათ.
- ს. ს. ალექსი-მესხიშვილი.—ქირურგია 1—2.

საღამოს:

- [illegible]. ჯაფაძე.—შინაგ. 6—7 საათამდე.

ოპერაციების გაკეთება შეუძლიანთ გარეშე ექიმ-ქირურგებსაც.

რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., საავადმყოფოს აქვს ოცი საწოლი. სამკურნალოში ოპერაციები მიიღებიან. კრავატები დღეში ღირს 2-დან სამ მანეთამდე. საზოგადო და ნომერი—[illegible] მან.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 84 Б.

ტელეფონი № 274.

კბილის ექიმი

ე. ი. ბალარჯიშვილი

იღებს ავადმყოფებს 10—3 საათამდე და 5—7 მიხეილის ქუჩა № 115. გერმანელთა ტაძრის გვერდით. (30—17—23)

ექიმი

გ. ი. ტერ-გრიგორიანცი

შინაგანთა, სპეციალისტი გულისა და ბავშვების ავადმყოფობისა, რენტგენის სხივის კაბინეტი. დილის 10—11 საათ. და 5—7 საღ. მიხეილის პრ. № 154 ტელეფონი № 8[illegible]5. (90—296—54).

კბილის ექიმი

ივანე პ. ახალშენიშვილი

[illegible]: ნიკოლოზის (№ 82) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმით 10—1-მდე.

ახლად დაბეჭდილი

სამზარეულო

ფასი 1 მან. 50 კაპ.

იყიდება წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგ. კიოსკში, ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ, ალექსანდრეს ბაღის კუთხეში, ქ. ტფილისში. ვისაც ათის ან მეტის ეგზემპლიარის ყიდვა ჰსურს, მიჰმართონ ქართველთა ამხ. კანტორას, ვანქის ქუჩაზე, ამხ. სტამბაში. (25—19)

ცინკოგრაფია

წიგნებ გამომც. ქართველთა ამხანაგობისა

ვანქის დიდი ქ., № 27, ტელეფ. 372.

კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიულ სურათებიდან და ხელით ნახატებიდან.

საუკეთესოდ მოწყობილი

ასოების ჩამოსასხმელი ქარხანა

წიგ. გამ. ქართ. ამხანაგობისა.

ამზადებს ყოველნაირ ქართულს, რუსულს, სომხურს და თათრულს ასოებს.

პრეისკურანტი მსურველთ უფასოთ ეგზავნებათ.

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

„პეტერბურგის დეპეშთა სააგენტოსაგან“

16 მარტი

დურბანი, 16 მარტი. 3 მარტს მადაგასკარიდან 250 მილის მანძილზე ბრიტანიის გემი „დარტ ლოპეს“-ი შეხვდა 30 სამხედრო გემს და 14 სანახშირეს, რომელნიც აღმოსავლეთისაკენ მიდიოდნენ.

პარიზი. (ჰავასი). საფრანგეთის ხუთმა კარდინალმა, მათ რიცხვში არქიეპისკოპოსებმა პარიზისა, ბორდოსის და რენისა ამ წერილით მიჰმართეს პრეზიდენტს, დარჩეს კონკორდატი თავის ძალაში და, თუ საჭირო იქნება რამე ცვლილების შეტანა, ეს მოხდეს საფრანგეთის მთავრობისა და ვატიკანის შეთანხმებით. ეს არსებული პროექტი არაა ხალხის ნების გამომხატველი და მის განხორციელებას რელიგიისთვის დევნა მოჰყვებაო.—მადაგასკარის გუბერნატორის მოხსენებით კუნძულზე არეულობა ჩაქრა.

ბელგოროდი. გუშინ საბჭომ დაადგინა, იშუამდგომლოს, რათა საქალაქო დებულების შესახებ დანიშნულ კომისიაში მათი წარმომადგენელნიც მიიწვიონ, რადგანაც, მათი აზრით, წვრილი ქალაქები უფრო დაახლოვებული არიან სოფლებთან და, მაშასადამე, მათ ყველაზე სწორად შეუძლიანთ გამოარკვიონ სოფლების ნამდვილი საჭიროებანი.

ბერლინი, 15 მარტი. დღეს დამტკიცდა ხელშეკრულობანი სამედიატორო სამართლის შესახებ ბულგარიას, ავსტრო-უნგრეთს, საფრანგეთს, შვეციას და ნორვეგიას შორის.

კოპენჰაგენი, 16 მარტი. რიგსდაგმა მიიღო დანია-რუსეთის შეთანხმება სამედიატორო სამართლის შესახებ.

პეშავერი. ბრიტანიის მისია ინდოეთში ბრუნდება ქაბულიდან.

სიმბირსკი, 16 მარტი. ბაზრობამ კარგი შემოსავალი მოიტანა. ვაჭრობა შარშანდელზე კარგი იყო. წელს საერთოდ 2,800,000 მან. მოიგეს, შარშან კი 2,580,000 მანეთი.

მოსკოვი. ბავშვთა [illegible] მოსკოვის რჩევაზე განიხილეს ყულაბების შემოსავალი და საქმე არეულ-დარეული აღმოჩნდა. შემოწირულების ერთი მომკრეფი სამართალში მისცეს, მეორის ჩივილს აპირებენ. ქალაქის გამგეობა საჩქაროდ ემზადება ხოლერის დასახვედრად. კონსერვატორიის დირექციამ გადასწყვიტა, შეწყვიტოს დროებით სწავლა.

იაროსლავი. გამოცხადდა, რომ იაროსლავის გუბერნიას ხოლერა ემუქრება შემდეგისათვის. გუბერნატორმა [illegible] თათბირი გამართა ერობისა, ქალაქისა, რკინის გზისა და სამხედრო უწყებების წარმომადგენელთაგან, რა ზომები მიიღონ ხოლერის წინააღმდეგ.

იალტა, 16 მარტი. გუბერნატორის განცხადებით ქალაქში მშვიდობიანობა დამყარდა.

ბაქო, 16 მარტი. ხუთი ბოროტ-განმზრახველი თავს დაესხა ეტლით მიმავალ უბნის ზედამხედველს თ. მიქელაძესა და გოროდოვოის ეფიმუშკინს. ორივე მოჰკლეს. ბოროტ-განმზრახველნი მიიმალნენ. გზაში მესამე მხვედრელიც იპოვნეს—ფეხში დაჭრილი.

პეტერბურგი, 16 მარტი. დღეს დღის 3 საათზე ჟუკოვის საზეთე ქარხანაში ცეცხლი გაჩნდა. დაიწვა კორპუსი, საცა ხდიდნენ და სწმენდდნენ ზეთს. ზარალი 500 ათას მანეთამდეა. ჰფიქრობენ, ცეცხლი თუ წაუკიდესო.—15 მარტს გაიხსნა სხდომა სტატს-სეკრეტარის კოკოვცევის კომისიისა, რათა სჯა-ბაასი იქონიონ იმის შესახებ, თუ როგორ მოწესრიგდეს საქმე სამრეწველოების მუშებისა. კომისიამ სასურველად სცნო მიიწვიოს ამორჩეული წარმომადგენელნი ვაჭრობის და მანუფაქტურისა, საბირჟო რჩევების, სამხრეთის სამთო-სამრეწველოების, პოლონეთის სამეფოს, ურალის კანტორების, რკინის გზის მექარხნეების, ოქროს მრეწველების, ლითონის მექარხნეების, ლუდის მექარხნეებისა და მეფაბრიკეთა საზოგადოების. საქმით დახმარების პროექტის განხილვაში მონაწილეობის მისაღებათ მიიწვევენ პეტერბურგისა, მოსკოვისა, ტვერისა, ვლადიმირისა, კოსტრომისა, ხერსონისა, ნიჟეგოროდისა, სარატოვისა, ეკატერინოსლავის და ხარკოვის ერობათა წარმომადგენლებს და აგრეთვე ქალაქებისა—პეტერბურგის, მოსკოვის, ნიჟეგოროდის, კიევის, ოდესის, ხარკოვის რიგისა და კიდევ ვარშავიდან საზოგადო თავშესაფრის რჩევის წარმომადგენლებს.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან.

16 მარტი.

ტოკიო. გაზეთ „ოსაკა მაინიჩ“-ში აღწერილია, თუ როგორ განადგურდა სულ ერთიანად იაპონელთა ორი პოლკი. დასაჭერი იყო საპოზიციოთ სოფ. ლიკუნპო. იერიში დაიწყო 22 თებერვალს. იაპონელები ხოხვით მიდიოდნენ; მოახლოვდნენ თუ არა, წამოდგნენ ფეხზე, სეტყვასავით მიაყარეს მტერს ხელის ყუმბარები და მიაღწიეს სოფელს. რუსები თავ-განწირულად ებრძოდნენ. ქუჩებში შეუძლებელი იყო გავლა, რადგანაც იგინი სავსე იყო მოკლულებით და დაჭრილებით. ნაშუადღევს რუსებმა საშინელი კონტრ-იერიში მიიტანეს. ორი საათის შემდეგ იაპონელებს შემოერტყნენ რუსები და იძულებული გახადეს იგინი სანგრები გაემართნათ; მათ ჩქარა საომარი სურსათი გამოელიათ, რუსების საპატრონეებს დაუწყეს კრეფა, მაგრამ იგინი ცარიელები იყვნენ და ამიტომ მკვდრებს ჩხრეკდნენ, იქნება იმათ ჰქონდეთ პატრონებიო. იაპონელებს დიდი ზარალი მოუვიდათ: მოუკვდათ პოლკოვნიკი იუშიოკა, მძიმეთ დაეჭრათ პოლკოვნიკი ტაკუში; 4 მედროშე ერთი მეორეზე დაეცა. ტაკუშიმ ორი აფიცერი და ერთი სალდათი გაგზავნა სარეზერვო ბრიგადასთან; ორივე აფიცერი მოჰკლეს, სალდათი დასჭრეს, მაგრამ მან მაინც მიაღწია ღამის საშუალებით მიზანს; გაუგზავნეს საომარი სურსათი. მზის ამოსვლისას სოფელი მაინც იაპონელთ ჰქონდათ ხელში. დილის 11 საათზე რუსებმა უკან დაიხიეს.

მადრიდი. ოფიციალურათ უარს-ჰყოფენ ინგლისის ცნობებს, ვითომ ესპანიას განზრახვა ჰქონდეს გამართოს ტინჟერში საფრანგეთის საწინააღმდეგო მანიფესტაციები.

პეტერბურგი. ყოველს საფუძველს მოკლებულია ის ხმები, ვითომც ხარბინში ამ უკანასკნელ დღეებში ცეცხლი გაჩენილიყოს.

ლონდონი. კარგათ გაგებულ წრეებში დაბეჯითებით ამბობენ, მომავალ ზაფხულს საფრანგეთის ესკადრა ინგლისის წყლებში მივა და სპიტხედში დადგება, რომ ამ დემონსტრაციით აშკარად დაამტკიცოს ინგლის-საფრანგეთის მეგობრული შეთანხმებაო.—სარწმუნო წყაროებიდან სჩანს, რომ იაპონია ას მილიონ გირვანქა სტერლინგის კონტრიბუციას ითხოვს და ეს ზავის ჩამოგდების ერთ-ერთი პირობათაგანი იქნებაო. რადგანაც იაპონიამ ამ ომში გაცილებით მეტი ზარალი ნახა, ვინემ გერმანიამ საფრანგეთ-პრუსიის ომის დროს, ამიტომ იაპონიისაგან მოთხოვნილი კონტრიბუცია ზომიერია შედარებით იმასთან, რომელიც გერმანიამ მოითხოვა 1871 წელსო.—ოფიციალურად იუწყებიან, რომ ინგლისის მეფე და დედოფალი აღარ წავლენ კოპენჰაგენშიო.

სოფია, 15 მარტი. რადგანაც ხმებია დაურიდი, სამინისტროს კრიზისი აქვსო, ამიტომ ზოგიერთი გაზეთები არკვევენ მდგომარეობას. ისინი ამბობენ, ბოლგარიას პოლიტიკური კრიზისი აქვს იმიტომ, რომ ხალხს ნდობა არა აქვს მმართველებთან, რომელნიც მთავრობისაგან არიან არჩეულნი და რომელთაც არც საჭირო ნიჭი აქვთ და არც ღირსებები აქვთო. ხალხი ამბობს, ასეთი რეჟიმი კონსტიტუციას ეწინააღმდეგება და მოკლებულია ყოველსავე პოლიტიკურ მიმართულებებსო.—სამინისტროს კრიზისის ამბები ტყუილია. მთავარსა და მინისტრებს შორის სრული სოლიდარობაა.

სტამბოლი. თუმცა ოფიციალური წრეებიც გაჩუმებულნი არიან და ინგლისმაც დაარღვია ხმები, მაგრამ სამხედრო წრეებში დაბეჯითებით ამბობენ, სანა, [illegible] ემენის სატახტო ქალაქი, იარაღ აყრილია [illegible] რამდენიმე დღეაო. მოკლულია რამდენიმე უცხოელიც. მარშალ-რიზას ძალა არ შესწევს ემნის აჯანყებულებს, რადგანაც სამხედრო სამინისტროს არ შეუძლია გაუგზავნოს მას ტრანსპორტი. სანის დანებება ამით აიხსნება, რომ იქ 10 დღის საყოფი საკვები იყო, მეტი არა.

იალტა, 16 მარტი. ძირითად მიზეზებს 13 მარტს მომხდარ აწიოკებისას შეადგენს ისა, რომ სამხრეთ ნაპირზე აუარებელი ცუდა ხალხი და „ბოსიაკები“ იყვნენ თავმოყრილნი. საბაბათ კი პოლიციიდან ერთი მთვრალი სალდათის დაჭერა გახდა. ეს სალდათი სამოწყალოს თხოულობდა და პორტ-არტურელი ვარო, ამბობდა. შეკრებილმა ბრბომ მოითხოვა სალდათის განთავისუფლება, მაგრამ უარი მიიღო; მაშინ დაწიოკება დაუწყეს საპოლიციო ნაწილს და განათავისუფლეს დაჭერილი სალდათი, რომელიც სათავეში მოექცა ბრბოს მოძრაობას. შეიკრიბნენ „ბოსიაკები“, ჯიბგირები და ზოგი მთვრალი მუშებიც და აუარებელი ბიჭ-ბუჭები; ბრბო მიჰვარდა პოლიციის სამმართველოს, ნაწილებს და სატუსაღოს და დაწიოკება დაუწყეს, გზა-და-გზა აწიოკა მაღაზიები; სიმფეროპოლიდან და სევასტოპოლიდან ჯარი მოვიდა მეორე დღეს დილით. ყველაზე დიდი ზარალი მოუვიდა ბექიროვს—150,000 მ., მორდვინოვს—60 ათასი მანეთის, მეაფთიაქე დევის—40 ათასი მან. და მესაათე ტუტნიკოვს—2000 მან. შიში ზარი დაცხრა. ნაძარცვს უკან უბრუნებენ. მცხოვრებლები ჩვეულებრივ მუშაობას შეუდგნენ.

ჟურნალ-გაზეთებიდან

რუსის ჯარის უკან დახევა. გენ. ხარკევიჩის დეპეშიდან სჩანს, რომ რუსის ჯარის უკანა რაზმი და იაპონელების მოწინავე რაზმი 13 მარტს ხანშილინთან მდგარან, მანდარინის გზაზე, ტელინიდან დაახლოვებით 100 ვერსტზე, ჩრდილოეთით. მანდარინის გზით რუსის შუა ჯარი მიდის, ამის მეტი ცნობა სხვა არა მოსულა რა ომის ასპარეზიდან.

„ნოვოე ვრემია“-ს კორესპონდენტი 9 მარტის თარიღით სწერს: თუ საქმე ამას იქითაც ასე წავიდა, როგორც აქამდე მიდიოდა, ჩვენ (რუსები) იძულებულნი ვიქნებით, ჯარი მდ. სუნგარიაზე, კუანჩენძისთან დავაყენოთ და თუ მალე დიდი მაშველი ჯარი არ მოგვივა, აქედანაც უკან უნდა დავიხიოთ და სულაც ციმბირში გადავიდეთ, რადგან, ხარბინში რომ დავდგეთ, იაპონელები ადვილად მოგვიჭრიან გზას და თითონ გზის დაცვასაც დიდი ჯარი დასჭირდება. თუ ჩემი ფიქრი გამართლდა, მაშინ, შეიძლება, იაპონელებმა ვლადივოსტოკისა და უსურიის ოლქს გზა მოუჭრან. ამიტომ ვლადივოსტოკში იმდენი ჯარი უნდა ჩავაყენოთ და იმდენი სურსათი ჩავიტანოთ, რომ ციხემ ორ წლამდე გაუძლოს მტერსა. მაგრამ რომ ციმბირამდე უკან დახევა არ მოგვიხდეს, რაც შეიძლება მალე, დიდი ახალი ჯარი უნდა მივაშველოთ აქაურ ჯარსა, სულ მცირედ 200 ათასი კაცი მაინც. უნდა გვახსოვდეს, რომ მხოლოდ რიცხვით დავსძლევთ იაპონელებს.

კორესპონდენტები ერთხმად იუწყებიან, იაპონელები რუსის ჯარს ორსავ ფრთიდან უვლიანო.

ვუნჩეულინიდან დეპეშით ატყობინებენ „რუს“-სა: ბეჯითად ლაპარაკობენ, იაპონელები ორსავ რუსის ფრთას გვერდიდან უვლიანო. ჩინელები ამბობენ, იაპონელებმა მრავალი ცხენოსანი ხუნხუზი და მონღოლი მიიწვიეს სამსახურში და იქნება ეხლა მეტი ცხენოსანი ჯარი ჰყავდეთ, ვიდრე რუსებსაო. ამ დღეებში რუსეთ-ჩინეთის ბანკის განყოფილებას დაეცნენ გირინში.

„რუსკოე სლოვო“-ს კორესპონდენტი ლოდიჟენსკი იუწყება: ხმა დადის იაპონელთა სწრაფი რაზმი ციციკარისაკენ მიდის ჩრდილოეთ-დასავლეთისაკენ, და იმაზე დიდი რაზმი რკინის გზის აღმოსავლეთ ტოტისაკენ, იმ განზრახვით, რომ ეს ტოტი ხელში ჩაიგდოს და მერე ამ გზით ვლადივოსტოკისაკენ წავიდესო.

იმავე გაზეთის მეორე კორესპონდენტი ბ. ობოლეშევი და „ნოვოე ვრემია“-ს კორესპონდენტი ტაბურნოც ჰმოწმობენ ამ ცნობას.

„კენიგ. ცაიტუნგ“-ს ატყობინებენ პეტერბურგიდან: ხარბინიდან ცნობა მიიღეს, ხუნხუზების დიდი რაზმი იაპონელ აფიცრების უფროსობით ამ ჟამად მონღოლიის საზღვარზე იმყოფება და ციციკარს ახლო მოქმედებსო. ეშინიანთ, ვაი თუ ხუნხუზებმა რკინის გზის ლიანდაგი დაანგრიონო. ხარბინში შიმშილობისაც ეშინიანთ, რადგან დამზადებული ჭვავი, ფქვილი და ხორბალი სულ მთლად გამოილია. სამზადისის მომეტებული ნაწილი ორის თვის წინად მუკდენში გაგზავნესო. („ნ. დ.“).

„ბირჟევია ვედომოსტი“-ს დეპეშით ატყობინებენ პარიზიდან: 10 მარტს ფრანგულმა გაზეთებმა იაპონიის საელჩოს ცნობა დაბეჭდეს. ამ ცნობიდან სჩანს, რომ იაპონიის დასავლეთი არმია სწრაფად მიდის მონღოლიის საზღვარსა და რკინის გზის შუა, დანარჩენი არმიები-კი უფრო ნელა მიდიან წინა.

ინგლისელი კორესპონდენტები 6 მარტის თარიღით იუწყებიან გენ. კუროკის მთავარ-სადგომიდან: იაპონელებს ამინდიცკი ხელს უწყობთ. მთაში დიდი სიცივეა, ხშირად ქარიშხალიც ამტყდება ხოლმე. რუსების უკან დახევა დღე და დღე უფრო უწესრიგოდ მიდის. წინად რუსები მოკლულებს ასაფლავებდნენ, ეხლა-კი გზაში ჰყრიანო. („ნ.“).

რუსის ჯარის ზარალი. „რეიტერის სააგენტო“-ს დეპეშით ატყობინებენ ტოკიოდან: ცინხენჩენის აღებიდან (10 თებერვალი) ტელინის აღებამდე (12 მარტი) რუსებს

175 ათასი კაცი მოუკლეს და დაუჭრეს და და 600 ზარბაზანზე მეტი წაართვესო.

გენ. კუროკის მთავარ-სადგომიდან იუწყებიან: იაპონელებმა მე-5 და მე-19 მსროლელთა პოლკების ბაირაღები ჩაიგდეს ხელში. დატყვევებულმა რაზმებმა მომეტებულ ნაწილად მოასწრეს ბაირაღების დაწვა. ტყვეთა რიცხვს დღე და დღე ემატება. („ნ.")

„ნოვოე ვრემია"-ს კორესპონდენტი ტოლუზაკოვი ხელ-ახლა სწერს: გენერალ რენენკამფის რაზმის სამი მეოთხედი მოჰკლეს და დასჭრეს იაპონელებმაო.

ბ. გარინი იუწყება გუნჩჟულინიდან: არმიის უფროსმა ინტენდანტმა მითხრა: მუკდენისა, ხუშიტაისა, სანტაიძისა, ტელინის და კაიუანის საწყობებში 25 თებერვლისათვის 4,076,000 მანეთის საკვები სურსათი, ქერი და თივა იყო დამზადებული და 1,388,000 მანეთის ტანისამოსი და სხვა ნივთიო. აქედან ნაწილი ჯარს დაურიგდა, დანარჩენი-კი დავწვითო. („რ. ს.").

გენ. ლინევიჩი. „ტაიმს"-ის პეტერბურგელი კორესპონდენტი იუწყება: გენ. ლინევიჩმა, მიიღო თუ არა მთავარ-სარდლობა, მაშინვე აკრძალა ომის ასპარეზიდან დეპეშების გზავნა და სამხედრო ცენზურა გააძლიერაო. („ო. ნ.").

ხარბინში. „პტი ჟურნალ"-ს ატყობინებენ ხარბინიდან: აქ 50 ათასამდე დაჭრილი და 12 ათასამდე სნეული მოიყვანეს მუკდენიდანა და ტელინიდან. დაჭრილების მოყვანას კიდევ განაგრძობენ. აქ კი სულ 60 ექიმი და ფელდშერია და 140 მოწყალების და. ასე რომ თითო ექიმს ათასზე მეტი დაჭრილი და ავადმყოფი შეჰხვდება. უკანასკნელ კვირაში 5 ათასამდე დაჭრილი მოკვდა. ველით, რომ თბილი ამინდი დადგება თუ არა, გადამდები სენი გაჩნდება. ორი ექიმი ჭკუიდან შეიშალა".

„რუსკოე სლოვო"-ს კორესპონდენტი იუწყება: ხარბინიდან მოსულნი ამბობენ, ბევრნი თავიანთ ქონებასა ჰყიდიან და რუსეთში მიდიანო. ამიტომ ზოგიერთ საქონლის ფასმა დაიწიაო.

ვლადივასტოკი. ვლადივასტოკიდან შანხაიში მოსულ გემ „ტაიპინგ"-ის პასაჟირები ამბობენ: რუსები ბეჯითად მუშაობენ ვლადივასტოკში. განუწყვეტლივ აშენებენ ახალ სიმაგრეებს, ძველებსაც უფრო ძლიერ ამაგრებენ. ყოველ მატარებელს ახალი ჯარი მოჰყავს და მეციხოვნე ჯარს ყოველ დღე ათასი კაცი ემატება, ასე რომ ამ ჟამად რუსებს რამდენიმე ათი ათასი კაცი ჰყავთ ვლადივასტოკში. ქალაქში დარწმუნებულნი არიან, რომ იაპონელები მალე დაეცემიან ციხესაო. იანვარში რკინის გზით მოტანილ წყალქვეშ მავალი ნავები, ჯერ წყალში არ ჩაუშვიათ, რადგან მთელი პორტი გაყინული იყო. („ს.").

მარშალი ოიამა. მუკდენის ბრძოლამ სამხედრო მიმომხილველებსაც შეაცვლევინა აზრი იაპონელ სარდლებზე. წინად ევროპიელების უმეტესობა ამბობდა, ეტყობა იაპონელებს ჯარი კარგი ჰყავთ, მაგრამ ნამდვილი გენიოსი სარდალი არა ჰყავთო. იმათი გენერლები ევროპიელ სარდლებს ჰბაძვენ, მეტად ფრთხილად, მძიმედ იქცევიან, გამარჯვებით ვერა სარგებლობენ და ნამდვილ სამხედრო გამჭრიახობასა და გენიოსობას ვერ იჩენენ, ეტყობა შემოქმედებითი ნიჭი აკლიათო. რუსები ხომ სულ არად აგდებდნენ იაპონელ გენერლებსა და იმათ სტრატეგიას. ბევრი რუსი აფიცერი, სამხედრო მიმომხილველი და კორესპონდენტი ამტკიცებდა, რომ ვარგებულიყვნენ, იაპონელებს სამს დღეში უნდა აეღოთ პორტ-არტური და ზაფხულშივე ასულიყვნენ ხარბინამდეო. თუმცა ამის მთქმელებმა თითონ ცამეტ თვეშიაც ვერა აიღეს-რა, მაგრამ მაინც დიდის რიხით ამტკიცებდნენ, იაპონელებს სამხედრო გამჭრიახობა და შემოქმედებითი ნიჭი აკლიათო. არც ერთი იაპონელი სირდალი არ მოსდიოდათ ჭკუაში. მუკდენის ბრძოლამ ბევრს გაუხილა თვალი და სხვა კილოზე დააწყებინა ლაპარაკი. „ნ. ფრ. პრესე"-ს სამხედრო მიმომხილველი სწერს: მარშალ ოიამას უკიჟინებდნენ, მძიმედ იქცევა და ვერაფერ გამჭრიახობას ვერ იჩენსო. მუკდენთან ბრძოლამ დაამტკიცა, რომ მარშალი ოიამა ნამდვილი სარდალი ყოფილა. პლანიც დიდებული ჰქონდა შედგენილი და დიდებულადაც შეასრულეს. დემონსტრატიულ იერიშის მიტანა აღმოსავლეთ ფრთაზე და გენ. ლინევიჩის არმიის გარღვევა (გენ. კუროკი), მდ. შახეს პოზიციებზე, ცენტრზე, მედგარ შტურმის მიტანა (გენ. ნოძუ), სანდეპუდან მდ. ხუნხესა და რკინის გზის შუა მდებარე კუთხეში გალაშქრება (გენ. ოკუ), მდ. ხუნხეზე მადიაპუს აღება (კიდევ გენ ოკუ), გენ. ნოგის არმიის გალაშქრება მუკდენის ჩრდილოეთით და რკინის გზის მოჭრა, სოფ. მადიაპუდან გვერდიდან შემოვლა (გენ. ოკუ), სოფ. კიუზიანთან ხელ-ახლად რუსის ცენტრის გარღვევა და რკინის გზისაკენ გალაშქრება უკან დახეულ მტრის დასადევნებლად, ყველა ეს მეტად დიდებული საქმეა. ასეთ საქმის მოფიქრება, მოწყობა და ასრულება მხოლოდ შემოქმედებით გენიოსს შეუძლიან.

მუკდენის ბრძოლის შემდეგ რუსებმაც აღიარეს, რომ იაპონელ სარდლების სტრატეგიამ აჯობა რუსის სარდლების სტრატეგიას და იაპონიის ჯარის სიმამაცემ და მოხერხებამ სძლია რუსის ჯარის მამაცობასა და მოხერხებასაო.

ხმები ზავზე. „ეკო დე პარი"-ს პეტერბურგელი კორესპონდენტი იუწყება: სამხედრო საბჭომ ცარსკოე სელოში შემდეგი დაადგინაო. დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე შორეულ აღმოსავლეთს წავა და გამოიკვლევს, რა ყოფაშია რუსის არმია, რამდენი სალდათია იქა და შეიტყობს, რა მნიშვნელობა ექნება ამას იქით ჯარის გაგზავნას. დიდი მთავარი გამოიძიებს, გენ. კუროპატკინს დროზე მისდიოდა ჯარი და სურსათი თუ არა, რადგან მთავარ-სარდლად ნამყოფი ჩიოდა, ჩემს მოთხოვნას არ ასრულებენო. დიდის მთავრის გამოძიების შემდეგ, საბოლოოდ გადასწყვეტენ, გაგზავნონ შორეულ აღმოსავლეთს ახალი მაშველი ჯარი, თუ შერიგებაა საჭირო. სანამ დიდი მთავარი გამოკვლევას გაათავებს, მოიფიქრებენ, რა ნაირად გაათავონ სამხედრო მოქმედება, პირდაპირ იაპონიასთან მოლაპარაკებას-კი არ გაჰმართვენო. („ს.").

„ტაიმს"-ის პეტერბურგელი კორესპონდენტი იუწყება: მომავალ თვეში დროებით შერიგებას ჩამოაგდებენ, რომ რუსეთისა და იაპონიის რწმუნებულთ ზავზე მოლაპარაკება გაუადვილონო. („ო. ნ.").

„დეილი ტელეგრაფ"-ი სულ სხვას იუწყება: დანიის სამეფო გვარეულობა მტკიცედაა დარწმუნებული, რომ რუსეთი არავითარ მოლაპარაკებას არ გაჰმართავს ზავზე და ომს განაგრძობსო. („ო. ნ.").

სკოლის გაკოტრება

III

ახალმა გარემოებებმა ჩვენს სკოლას ახალი ჩირქი მოსცხეს. მკითხველებმა იციან, რომ თითქმის ყველა სასწავლებელში მოსწავლეებმა სრული უნდობლობა გამოუცხადეს თავიანთ აღმზრდელთ და მიანებეს სკოლას თავი. ამის საპასუხოდ საერო განათლების მინისტრმა გამოსცა ცირკულიარი, რომელშიაც სკოლის უფროსებს უბრძანებდა, შვიდ მარტიდან სწავლა კვლავ განაგრძეთო, იმ მოწაფეებს-კი, რომელნიც აღნიშნულ ვადაზე არ გამოცხადდებიან სასწავლებელში, დაუბრუნეთ დოკუმენტები და გამორიცხეთ სასწავლებლიდანაო. ბევრი უფროსი გაახარა ამ განკარგულებამ, ეგონათ, ახლა კი მოვლენ გონს მოსწავლეები და მშობლებიო, მაგრამ გაუცრუვდათ იმედი, ხსენებულმა განკარგულებამ ვერ მიაღწია მიზანს, მოწაფეებს ვერ გადაახვევინა იმ გზას, რომელიც მათ ჰქონდათ ამორჩეული.

სწავლა-კი უნდა გაგრძელებულიყო, ასე იყო ნაბრძანები. შეიქმნა თითქმის ყველა სასწავლებელში აუტანელი პირობები თვითონ უფროსებისა მასწავლებელთათვის; ყოველი გაკვეთილი, ყოველი განყოფილება შეურაცხყოფა იყო სკოლისა და მასწავლებლისა, ამას ჰგრძნობდა ყველა, მაგრამ მაინც გადასწყვიტეს განაგრძონ **როგორმე** სწავლა. რითი ხელმძღვანელობდნენ ჩვენი განათლებულნი, როდესაც ამბობდნენ, საჭიროა მოწაფეებმა კიდევ რამდენიმე კვირა **იარონ** სასწავლებელში და შემდეგ დავითხოვოთო. ნუ თუ ჰფიქრობდნენ ამ ორსამ კვირაში მოსწავლეებს შევასწავლით რამესაო. სასაცილო იქნება ეს საბუთი წარმოადგინოს ვინმემ, რადგან ყველამ კარგად იცის, რომ შობის შემდეგ სკოლაში სწავლა აღარ არის და მასწავლებლები იღებენ მონაწილეობას რაღაც კომედიაში.

რაც დრო გადის, აღმზრდელი უფრო მეტად ეცემა მოწაფეების თვალში. ზოგი მასწავლებელი იმ აზრისა იყო, სჯობიან ისევ მოსწავლემ დილით რამდენიმე საათი სასწავლებელში გაატაროსო, რათა ამით აიცდინოს თავიდან ქუჩის არეულობა და უნებლიე მსხვერპლად არ შეიქნას სხვა-და-სხვა დემონსტრაციისაო, მაგრამ იგივე მასწავლებელი მალე დარწმუნდა, რომ არც სასწავლებლის კედლები შველის მოწაფესა და აქაც დღეს თუ ხვალ შემოჰყოფენ თავს წესის აღმადგენელნი და შეიძლება უარესი უბედურებაც დატრიალდეს თვითონ სასწავლებელში, ვიდრე ქუჩაში. მაშ რაღად კრებენ და გაიძახიან ყოველ ლოღიკის წინააღმდეგ, როგორმე უნდა იარონ კიდევ მოწაფეებმა სასწავლებელშიო. გაკვირვებული კითხულობთ: რისთვის და ვისთვის არის საჭირო ეს **„როგორმე გაგრძელება სწავლისა"** (კომედია). პასუხი ერთად-ერთია: საჭიროა იარონ მოსწავლეებმა სასწავლებელში მხოლოდ იმიტომ, რომ მრავალმა პირმა ამით შეინარჩუნოს ის პოზიცია, რომელიც მას ამ ჟამად უკავია, აქ მოსწავლეების ინტერესები არაფერ შუაშია. სამწუხაროდ, ხსენებულ პირთა გასაკვირველი მხნეობა და მეცადინეობა საბოლოოდ ამცირებს სკოლის წარმომადგენელთა სახელს, სცხებს სკოლას ახალ ჩირქს და შეუძლებლად ხდის მომავალში მაინც სწავლის განახლებას. ეს ჩირქი გახლავთ მოწაფეების დაქრთამვა, მხოლოდ დაქრთამვა ფულით არა, დაქრთამვა სხვა-და-სხვა უშინაარსო შეღავათებით; მაგალითად, ეუბნებიან (ან, თუ პირდაპირ არ ეუბნებიან, აგრძნობინებენ მოსწავლეებს), ოღონდ სასწავლებელში ცოტახანს კიდევ იარეთ და ძალიან ადრე დაგითხოვთ წელსაო, ეგზამენების დაჭერის ნებას (მე-8 კლასში) ყველას მოგცემთო (რა თქმა უნდა, ატესტატებსაც ყველას მისცემენ), გაკვეთილზედ გინდ დაესწარით, გინდათ სასწავლებლის ეზოში თამბაქო მოსწიეთ, გაკვეთილზედ მეცნიერულ ჭეშმარიტების მაგივრად გასართობ ზღაპრებს გიამბობთო და სხვა... ნუ თუ ამგვარი სწავლა ახალგაზდობის გარყვნა არ არის? ნუ თუ ამისთანა სწავლა საბოლოოდ დამცირება არ არის მასწავლებლისა და სკოლის უფროსის ავტორიტეტისა, რომელიც უამისოდაც ძალზე მეტად დამცირებულია? ამ საქმის ჩამდენნი პასუხის მგებელნი გახდებიან თვით იმ მოსწავლეების წინაშე, რომელნიც ხვალ თუ ზეგ ატესტატებს მიიღებენ და მაზეგ ზიზღით მოიგონებენ საკუთარ ინტერესების დამცველ უფროსებს...

მან—თანი.

სოფლად

სოფ. კნოლე (ქართლი). 2 მარტს აქეთ დიდი ცვლილება მოხდა ჩვენ მხარეს. 6 მარტს სოფ. თიღვში შეიკრიბა გლეხობა, დაიბარა მღვდელი და გაიფიცა, ბოიკოტი უნდა გამოუცხადონ მემამულეებს და მღვდლებს. 8 მარტს ატოცის მამასახლისს ჯვარი აჰყარეს, კანცელარია დაკეტეს და თავიანთ შორის აარჩიეს ასის თავები და ათის თავები. 9 მარტს სოფ აბანოში თავ. ბაგრატიონს მიუხტა სამასი კაცი და გამოიყვანა ყველა მოსამსახურე. ასევე მოექცნენ სოფ. აბისში თავ. ამირეჯიბებს. პურის მცხობელი აღარა ჰყავთ და ყამომცხვარს გორიდან ეზიდებიან. 12 მარტს გორში კომისიამ (თავ. ლ. ჯანდიერმა და ბ-მა ველდენბაუმმა) დაიბარეს ოქონისა და ატოცის საზოგადოებები, მაგრამ არავინ წასულა. გაგზავნეს კაცი და შეუთვალეს ალაგობრივ, სოფ. კნოლეში მოვიდნენო. კომისიამ აცნობა 13-ს მოვალთო. ამ დღეს სოფ. კნოლეში შეიკრიბა დიდძალი ხალხი. იყო ოქონისა, ატოცასა და დირბის საზოგადოებები. ყველა მხრიდან და ყველა გზაზე ხალხი მოდიოდა. ერთი-ერთმანერთს ეგებებოდნენ ამ სიტყვებით: „ერთობას გაუმარჯოსო". დიდხანს ელოდნენ კომისიას, მაგრამ იგი აღარ მოვიდა, რამაც ხალხი აალელვა. „რას დაგვათრევენ ხარებივითაო",—იძახოდა ხალხი 14 მარტს ხალხი ყოველ მხრიდან ატოცისკენ მიეჩქარებოდა. ზედა და ქვედა მხარე ერთმანეთს შეეგებნენ დიდის ამბით და ბაირაღებით. აქ ბევრი სიტყვა წარმოითქვა. ორატორებმა გაჰკიცხეს კაცის კვლა, დაწვა, საზოგადოდ, ძალ-მომრეობა. სამხრობისას ხალხი დაიშალა.

—

სოფ. კარალეთი (ქართლი). 13 მარტს შეიკრიბა მთელი კარალეთის სამამასახლისო. თავი მოიყარა ათასმა კაცმა თავიანთ ჭირვარამის გამოსარკვევად. ამ ყრილობაზე ხუთასამდე ქალი იყო. რამდენიმე სიტყვის წარმოთქმის შემდეგ ეს ამოტელა ხალხი გაემართა ერისთავის სახლისაკენ, სადაც წარმოსთქვეს რამდენიმე სიტყვა. ბოლოს მივიდნენ თავ. ერისთავთან და წარუდგინეს თავიანთი მოთხოვნილებანი. თხოულობენ ნადელის გადასახადისაგან განთავისუფლებას, ტყესა და საბალახოს უფასოდ. ტყე მხოლოდ ხმელი უნდა მიეცეთ უფასოდ, ნედლი-კი—როგორც გლეხთა მიერ არჩეული კაცები დააფასებენო. თავადმა ხელი მოაწერა ამ მოთხოვნილებებს. შემდეგ მღვდლებს მიუბრუნენ. [illegible] განაცხადეს; ჯვრის წერა—ორი მანეთი, დასაფლავება—ერთი მანეთი. მღვდლებსაც მოაწერინეს ხელი.

—

გორი. 14 მარტს მომხდარს უბედურების შემდეგ გორის მაზრის უფროსი დეპეშით გამოწვეულ იქმნა დ. ხაშურიდან გორში. მოსვლისათანავე მასთან გამოცხადდა რამდენიმე მოქალაქე და სთხოვა, 15 მარტისთვის მოქალაქეებისთვის საზოგადო კრების ნება მიეცა, პოლიციელების დაუსწრებლად, რომ მათ თავისუფლად მოელაპარაკნათ თავიანთ ჭირ-ვარამზედ, ამოერჩიათ დეპუტატები და მათის შემწეობით წარედგინათ მაზრის უფროსისათვის სხვა-და სხვა მოთხოვნილება. მაზრის უფროსმა ნება დართო და დაჰპირდა, როდესაც მოილაპარაკებთ, მე თვითონ მოვალ კრებაზედაო. 15 მარტს შუა დღის ორ საათზე, რამდენჯერმე ჩამოჰკრეს სობოროს დიდი ზარი ხალხის დასაძახებლად და ამის შემდეგ ქალაქის გარედ მოედნისაკენ გაემართა დიდ-ძალი ხალხი. სულ ორი ათასამდე კაცი შეიკრიბა. მოედნის შუა დადგეს ძველი სტოლი, რომელზედაც ორატორები რიგ-რიგათ ადიოდნენ და სიტყვებს ამბობდნენ დღევანდელ მდგომარეობასა და ჭირ-ვარამზე. ხალხი სულ-განაბული ყურს უგდებდა. ბოლოს საზოგადოებამ დაადგინა: 1. გამოწვეულ იქმნას კრიმ-გირეი, რომელსაც უნდა წარედგინოს გორის მოქალაქეთა მოთხოვნილებანი. 2. სთხოვოს მაზრის უფროსს, რომ ნება მიეცეს გორის მოქალაქეთ ხუთი დღის განმავლობაში კრიმ-გირეის მოსვლამდე ყოველ დღე თავისუფლად, პოლიციის დაუსწრებლად, კრებები გამართოს, რომ კარგად შეიმუშავდეს მოთხოვნილებანი და ამოარჩიონ დეპუტატები. 3. 14 მარტს დახოცილების დასაფლავების დროს პოლიციელები არ დაესწრნენ.

ოთხს საათზე მოვიდნენ მაზრის უფროსი და მისი უფროსი თანაშემწე. ერთმა ორატორმა გადასცა მათ ხალხის დადგენილებანი. მაზრის უფროსმა აღუთქვა ხალხს შუამდგომლობა კრიმ-გირეის გამოსაწვევად და დააკმაყოფილა დანარჩენი მოთხოვნილებანიც. ხალხმა ერთ ხმად მადლობა გადაუხადა მას და დაჰპირდა კრებების დროს წესიერების დაცვა. მაზრის უფროსის და იმის თანაშემწის წასვლის შემდეგ ხალხი წყნარად დაიშალა.

დამსწრე

ახალი ამბავი

◆ ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა მარშლის მოადგილემ თავ. ა. ი. ჯამბაკურ-ორბელიანმა გუშინ, 17 მარტს, შუამდგომლობა აღძრა გუბერნატორის წინაშე, ნება მიეცეს მოიწვიოს **ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საგანგებო კრება.** რადგან კრების დანიშვნის დღიდან საგანგებო კრება ერთს თვეზე ადრე ვერ შესდგება, ხოლო დღევანდელი მდგომარეობა აუცილებელს ჰყოფს საჩქაროდ კრების მოწვევას, თავ. ორბელიანი სთხოვს გუბერნატორს, საგანგებო კრება უსათუოდ ორის კვირის შემდეგ იქნეს მოწვეული. გუბერნატორმა ნება დართო კრება 26 მარტისათვის დაინიშნოს.

◆ ტფილისის გუბერნატორმა გუშინ, 17 მარტს, მაზრის უფროსებს შემდეგი მიწერილობა დაუგზავნა: „იმ საბუთებიდან, რომელიც ხელთა მაქვს, სჩანს, რომ ძლიერ

ფელეტონი

ხევსურეთი და თუშეთი

(მგზავრის შენიშვნები)

თუმცა ბევრი დაწერილა ხევსურეთისა და თუშეთის შესახებ და მსურველს შეუძლიან არსებულ ლიტერატურაში ნახოს მრავალი მასალა ამ ორი კუთხის ეთნოგრაფიულ მდგომარეობის შესასწავლად, მაგრამ, ვფიქრობ, მგზავრის უბრალო დაკვირვებაც არ უნდა იყოს ინტერესს მოკლებული. ამ ფიქრმა გამაბედვინა ხელში ამეღო კალამი და გამეზიარებინა მკითხველისათვის ყოველივე, რაც ჩემის თვალით ვნახე და ყურით გავიგონე და ჩემს თავზე გამოვცადე ხევსურეთ-თუშეთში.

ხევსურეთი და თუშეთი მთათა სამეფოა. რომელისამე მაღალ ადგილიდან ეს ორი კუთხე მთათა გროვას, მთათა ჯარს წარმოადგენს.

„სად მთანი ყინვის გვირგვინით
„არიან ცადმდე ასულნი,
„უფსკრულნი ჩაბნელებულნი,
„კლდენი თვალ-გადუწვდენელნი,
„სად მონადირე სდევს ჯიხვსა,
„და მის ქვეშ ვლენან ღრუბელნი."

ეს სიტყვები ნიჭიერ პოეტისა მკრთალი სურათია სინამდვილესთან შედარებით. საშინელი აღმართ-დაღმართები, კლდეები, სერები, უზარმაზარი, დიადი მწვერვალები, რომელთა შორიდან დანახვაც კი შიშსა ჰგვრის კაცს, რომელნიც მედიდურად ამართულან ცაში და მრისხანედ დაჰყურებენ მიდამოს, ვიწრო, შეხუთულა ხეობები, დაქანებული, მქუხარე წყლებითურთ, ველური ბუნება, ჯერ კაცისაგან დაუმორჩილებელი, ყველა ეს შეუძლებელია სისრულით აღწეროს კალამმა, ან დახატოს მხატვარმა.

მაშ როგორ სცხოვრობენ ამ ადგილებში, რომელთა გარეგანი აღწერაც კი ვერ მოუხერხებიათ პოეტებს, რომელნიც პოეტის შემოქმედებით ძალისათვისაც კი მიუწდომელნი არიან?! დროთა ბრუნვასა და ვითარებას ბევრი შესძლებია, შთამომავლობათა მუდმივი ბრძოლა ისეთივე ბუნებრივი, სტიქიური, შეუპოვარი, ყოვლის შემძლებელი ძალაა, როგორც თვით მკაცრი, სასტიკი ბუნება. ამ მრისხანე მთებში უხსოვრის დროიდან სწარმოებს საშინელი ბრძოლა კაცსა და გარეგან ბუნებას შორის. ბუნება მტრულ, არა სტუმართ-მოყვარე საშინელ წინააღმდეგობას უწევს, ეურჩება კულტურულ მოღვაწეობის ყოველ ნაბიჯს. კაციც თავის მხრივ გალომებულის, არა-ჩვეულებრივის ენერგიით ებრძვის ველურ ბუნებას. ამ ბრძოლაში აქ ჯერ ვერც-ერთ მხარეს ვერ გაუმარჯვნია, და, თუმცა ბუნება ვერ არის ჯერ დამორჩილებული, მაგრამ კაციც გარკინებულ-გაკაჟებულა და საოცარი მხნეობა, ძალა და გამბედაობა მოუპოვებია. თუშ-ხევსური შეუპოვარია, ღონიერი, მარდი. რაც უნდა მაღალი, ძნელი ასასვლელი მთა იყოს, თვალის დახამხამებაზე აირბენ და მოექცევა წვეროში. სალ-კლდიან, ღორღ-ნოღრიან კლდასავარდნებზე ისე დაცოცავს, როგორც მთის ჯიხვი. მტრისა არ ეშინიან. გაქცევა, ზურგის ჩვენება მტრისათვის დიდ სირცხვილად მიაჩნია. გზაზე გაძარცული ყაჩაღისაგან სირცხვილით შინ ვეღარ მივა, ტოლ-ამხანაგებში ვეღარ გამოჩნდება და დედა-კაცებს ვეღარ დაენახვება. სირცხვილს სიკვდილი ურჩევნია და, სანამ თავი ცოცხალი აქვს, თავს არავის გააძარცვინებს.

ხევსურები ბევრში ჰგვანან ძველ სპარტანელებს. ემაწვილები რომ ტკივილების ატანასა და მოთმინებას შეაჩვიონ, ხელის გულზე ნაკვერცხალს დაადებენ და უწვავენ კარგა ხანს. ვინც ტკივილისაგან შეწუხებას არაფრად იმჩნევს, ამგვარი „ვაჟა" მამის გულს ახარებს, აიმედებს.

ხევსურეთის ბუნება უფრო მრისხანე, უფრო ჩამობნელებულია, ვიდრე თუშეთისა. თვით ხევსურიც ღრუბლიანია, სახე-გაუშლელი, არა-მხიარული. ხევსურის სიმღერა ტირილსა ჰგავს. საზოგადოდ, მუსიკა ხევსურისა ძლიერ მარტივია. ხევსურის ლაპარაკში გამოიხატება მისი შეუდრეკელი ვაჟკაცობა. იგი საშინელ სიმკვეთრით ლაპარაკობს, მის ლაპარაკსაც-კი ბრძოლის კილო აქვს.

ხევსურის სახე, ლაპარაკი, ტანსაცმელი, ყველაფერი მოწმობს, რომ ხანგრძლივ ისტორიის განმავლობაში მას საშინელი ბრძოლა განუცდია როგორც სასტიკ ბუნებასთან, აგრეთვე მეზობელ ველურ ტომებთან.

ხევსურს დღესაც-კი, როცა გზაშია, ჯაჭვის პერანგი აცვია და თავს მუზარდი ჰხურავს. ხმალი ხომ განუშორებლად არტყია წელზე. სოფლიდან მეზობელ სოფელში ვერ წავა უიარაღოდ. ხევსურისათვის იარაღი ისევე უცილებელია, როგორც თვით ხელი, ფეხი, ან სხვა რომელიმე ნაწილი სხეულისა. თუ იარაღი არა აქვს, იგი უბედურია, რადგან არ შეუძლიან დაიცვას არა თუ თავისი სიცოცხლე, არამედ თავისი თავმოყვარეობა, პირადობა, ადამიანური ღირსება.

ხევსური დღემდის საკვირველის მოხერხებით ხმარობს ხმალს და ფარს. ხმლისა და ფარის ხმარებაში, „ფარიკაობაში", ბავშობიდანვე იწვრთნება. ძვირად შეხვდებით ხევსურს, რომ დაჭრილი, „დაკეჭნილი" არ იყოს ფარიკაობის დროს.

ხევსურები იწვრთნებიან აგრეთვე თოფის სროლაში და სამაგალითოდაც ისვრიან. იწვრთნებიან ცხენოსნობაშიაც. მათი „დოღი" საშინელი რამ არის. ციცაბო დაღმართებზე, გადასავარდნ ადგილების ვიწრო ბილიკებზე შურდულივით მიაქროლებენ ცხენებს.

ერთის სიტყვით, სამამაცო ზნეები აქ უკლებლად შენახულა. ხევსური დღესაც ისეთივე მეომარია, როგორიც ყოფილა ერეკლეს დროს.

ამასთანავე ხევსური გულუბრყვილოც არის. მან ჯერ ქალაქურ ცუღლუტობის არა იცის რა.

ერთი ისტორიის პირველი დროინდელი დიდი ნაკლი შერჩენიათ ხევსურებს, სახელდობრ, მოსისხლეობა, სისხლის ძიება. ძნელი წარმოსადგენია, რა მძიმე ტვირთად აწევს ეს ველური ჩვეულება. ცხადია, ამას ჰქონდა ოდესღაც გასამართლებელი საბუთი, მაგრამ დღეს კი უბედურებაა სწორედ.

თუ კაცს კაცი შემოაკვდა, მოკლულის მთელის გვარისათვის მოსისხლე მტრად ხდება მკვლელის მთელი გვარი. გვარს გვარის სისხლი მართებს, მოკლულის გვარმა უთუოდ უნდა იძიოს სისხლი ე. ი. უნდა მოჰკლას ვინმე მკვლელის გვარში. მორიგებაც რომ მოხდეს, ე. ი. მკვლელის გვარმა კიდევაც რომ უზღოს მოკლულის ოჯახს ჯარიმა და ამ გვარად გამოისყიდოს თვის-მიერ დანთხეული სისხლი. მკვლელის ოჯახი და შთამომავლობა მაინც კიდევ კრძალვით უნდა იყოს მოკლულის ნათესაობასთან და თითქმის მოხარკედ უხდება. მოსისხლეობის ჩვეულება, აგრეთვე ხევსურთ სხვა ზნე-ჩვეულება და ცხოვრება ზედ-მიწევნით აქვს შესწავლილი პოეტს ბაჩანას, მრავალი მასალა შეუგროვებია ამ საგნის შესახებ და განზრახვა აქვს ოდესმე გამოაქვეყნოს თავისი წერილები.

აქ მე დაწვრილებით არ შევეხები ამ ჩვეულებას. ვიტყვი კი, რომ ეს ჩვეულება ძვალ-რბილში აქვს გამჯდარი ხევსურს და ვინ იცის, როდის მოვესწრებით მის გადავარდნას. ბევრ ხევსურს ველაპარაკე, ვეცადე დამემტკიცებინა მოსისხლეობის უგუნურება, მაგრამ ვერავის ვერა შევაგონე-რა. ხევსურს ვერც კი წარმოუდგენია, როგორ შეიძლება [illegible] კაცმა [illegible]. „განა ტყუილა მოჰკლა, მოსისხლე იყო და მოჰკლა", გეტყვის ხევსური მკვლელის გასამართლებლად. თანამედროვე სამსჯავროს ხევსური მხოლოდ დამატებით სასჯელად სთვლის; იგი მანამდის არ დაკმაყოფილდება, სანამ თვითონ არ გაუწევს ანგარიშს მტერს.

დიაღ, სწორედ ღვთის რისხვაა მოსისხლეობა. ის არ ეყოფათ საწყალ ხევსურებს, რომ კავკასიის საშინელი მთები დასწოლიან თავს! მკაცრი და ხანგრძლივი ზამთარი, უგზოობა, უპურობა, უსახლობა, სისაწყლე, ყველა ესეც კმარა, რომ სიცოცხლე გაუმწაროს ხევსურს; მაგრამ უმეცრება და სიბნელე ამრავლებს კაცის უბედურებას, და მოსისხლეობა—ნაშთი ბნელ ისტორიულ დროისა, ართულებს ხევსურის უამისოდაც გაჭირვებულ მდგომარეობას.

დიდი ხანი არ არის, რაც შატილელებსა და გუროელებს ჰქონდათ ერთმანეთთან საშინელი ხელჩართული ბრძოლა, რომელმაც იმსხვერპლა ბევრი დაჭრილი და მოკლული. რადგან გუროელებს მეტი მოუკლეს, ამათ შატილელები მტრებად აღიარეს, უნდათ სისხლი დაიბრუნონ მათგან. ამიტომ შატილელებს შიშით გურიას ახლოს არ შეუძლიანთ გაიარონ. შატილში კაცი

ხშირად **გლეხთა მოძრაობა** და უწესოება წარმოსდგება ხოლმე პოლიციელთა და სხვა-და-სხვა უწყების მოხელეთა უყურადღებო და გულგრილ ქცევით ამ გლეხთა მიმართ. ძლიერ ხშირად მთელ სოფლის საზოგადოებას და კერძოდ თითო კომლ გლეხს, რომელნიც გულის-ფანცქალით მოელიან დასაბუთებულ პასუხებს თავიანთ თხოვნებზე, აძლევენ დაუსაბუთებელ და გაუმარტებელ პასუხებს. ასეთი პასუხი არ აკმაყოფილებს საზოგადოდ გლეხებს და კერძოდ მთელ სოფლის საზოგადოებას. არა სასურველ შედეგის თავიდან ასაცდენად, ამ მხრივ, სასტიკად გიცხადებთ და გავალებთ სახეში იქონიოთ შემდეგი: 1. ამა თუ იმ საგანზე აღძრულ თხოვნების პასუხი გამოუცხადოთ პირდაპირ დაინტერესებულ პირებს და დაინტერესებულ სოფლის საზოგადოებებს. 2. პასუხი, რომელიც მთელ სოფლის საზოგადოებას შეეხება, უნდა გამოეცხადოს მთელ საზოგადოებას საჯაროდ სოფლის ყრილობაზე; 3. ეს პასუხები სასოფლო სამმართველოებში უნდა გამოჰკიდოთ“.

◆ 16 მარტს მოხდა კრება **კავკასიის სამკურნალო საზოგადოებისა**. კრებამ მოისმინა მოხსენება ექიმის ე. გ. ფეოდოროვისა მალარიის შესახებ.

◆ როგორც მკითხველებმა იციან, კახეთში სოფ. ურიათუბნელ **გლეხებმა გაჩეხეს** თავ. ნ. გ. ჭავჭავაძის და აზნაურ რჩეულიშვილების ტყე. ამ საქმის გამო გუბერნატორის მიერ გაგზავნილ იქმნა ურიათუბანში მაზრის უფროსი თავ. ლ. გ. ჯანდიერი, რომელიც კარგა ხანია დაბრუნდა და თავისი მოხსენება წარუდგინა გუბერნატორს. ამ საქმის შესახებ გუბერნატორმა გუშინ, 17 მარტს, აცნობა სახელმწიფო მამულების და მიწათ-მოქმედების გამგეობის უფროსს, რომ, როგორც შეკრებილ ცნობებით ჩანს, გამგეობის მოხელენი მიწების და ტყეების გამიჯვნა-განსაზღვრის დროს არ აცნობებენ და არ უცხადებენ გლეხებს, ახალ გამიჯვნის შემდეგ რა ეკუთვნით მათ და რა არა. აგრეთვე გლეხების მიერ აღძრულ თხოვნებს და საჩივრებზე გამგეობა ან სრულიად პასუხს არ აძლევს ან უგვიანებს. ყველა ამაზე თვით გლეხებს ელაგობრივ შეუჩივლიათ თავ. ჯანდიერისათვის. ამისათვის გთხოვთ, მოახდინოთ განკარგულება ამ მოვლენათა თავიდან ასაცდენათ და გარდა ამისა გამართოთ მოლაპარაკება თავ. ჭავჭავაძესთან და აზნაურ რჩეულიშვილებთან, რომ სადაო მიწას ნაჭერი „წნელიანი“, დაუთმონ გლეხებს და გამგეობამ კი მათ სხვა სახელმწიფო ნაჭერი მიუზომოს.

◆ როგორც „ჩერნ. ვეს.“ გადმოგვცემს, **გენერალს ალიხანოვ-ავარსკის სამარშალში მიუცია** ბლოღჩინი მღვდელი დავით დუმბაძე, რომელსაც თავ. ტ. ნაკაშიძის და ლევან გურიელის დამარხვის დროს უარი უთქვამს ღვთის მსახურებაზე. როგორც ვუწყით, თავ. ნაკაშიძე და გურიელი პოლიტიკურის აზრით მოჰკლეს.

◆ 16 თებერვალს ტფილისის ქალაქის გამგეობამ ტეხნიკოს ხმოსნებისა, საფინანსო კომისიისა და სხვათა მონაწილეობით დაადგინა: 1) შეიცვალოს **ავლაბრისაკენ** განზრახულ ტრამვაის მიმართულება: ტრამვაიმ ერევნის მოედნიდან უნდა გაიაროს მუხრანის ქუჩით, შემდეგ მუხრანის ხიდზედ გავიდეს და ციციანოვის აღმართით გაემართოს კახეთის მოედნისაკენ: 2) შეუდგეს ქალაქი ეხლავე მუხრანის ხიდის შენებას. ერევნის მოედნიდან კახეთის მოედანამდე ბილეთის ფასად დაიდოს 5 კაპ., ხოლო რიყის ქუჩამდე 3 კაპ. მუხრანის ხიდის სარგებლობისათვის უსახელო საზოგადოებამ უნდა გადაიხადოს იმდენი, რამდენსაც იხდის ვერის ხიდით სარგებლობისათვის; 3) მუხრანის ხიდის ასაშენებლად და მტკვრის ნაპირების გასამაგრებლად აიღოს ქალაქმა სესხად 400,000 მან. 4) სესხის აღებამდე მოიხმაროს ქალაქმა ის 400,000 მან., რომელიც გადადებულია შუა ბაზრიდან აბანოებამდე ადგილების შესაძენად და დიდის ქუჩის გასაყვანად; 5) მოეთხოვოს უსახელო საზოგადოებას ხელშეკრულობის თანახმად შეიტანოს ქალაქის კასაში 400,000 მან. 6) ნება მიეცეს საზოგადოებას გაიყვანოს ერევნის მოედნიდან მუხრანის ხიდით ციციშვილის აღმართზე და შემდეგ ავლაბრისაკენ ელექტრონის ტრამვაი, ისე-კი, რომ გზის გასაკეთებლად საჭირო ადგილების შეძენისთვის თითონ საზოგადოებამ იზრუნოს და 7) თუ ვინიცობაა ქალაქმა ვერ გაიყვანა აბანოებამდე დიდი ქუჩა, უსახელო საზოგადოების მიერ ქალაქის კასაში შეტანილი 400,000 მან. ქალაქის საკუთრებად ჩაითვალოს.

◆ ამ დღეებში ტფილისის სასანიტარო სამკურნალო საბჭოს ქალაქის ფერშლების წარმომადგენელთა თანადასწრებით სხდომა ჰქონდა **ფერშლების მოთხოვნილებების** განსახილველად. ამ მოთხოვნილებათა უმთავრესი მუხლი შეეხება ჯამაგირების მომატებას. თხოულობენ დაენიშნოთ თვეში არა ნაკლებ 70 მანეთისა. საბჭომ დაადგინა, ფერშლებს და ბებიებს დაენიშნოთ არა ნაკლებ 50 მან. რაც შეეხება დამსახურებისა და შრომის დაკვალად ჯამაგირების მომატებას, საბჭომ აარჩია კომისია და დაავალა გამოიკვლიოს ვის რამდენი მოემატოს.

◆ ტფილისის მაზრის უფროსი თავ. ლ. გ. ჯანდიერი, რომელიც ადმინისტრაციამ ქართლში გაჰგზავნა **გლეხთა მოძრაობის** გამოსაკვლევად და ხალხის დასამშვიდებლად, უკვე დაბრუნდა ტფილისს.

◆ ეს მეორე დღეს **სწავლა შესწყდა** ტფილისის საკომერციო და სავაჭრო სასწავლებელში. სავაჭრო სასწავლებელში სექტემბრამდე შესწყდა სწავლა.

◆ **ბათუმის თვითმართველობის მოხელეებს** და მასწავლებლებს, ადგილობრივ გაზეთის სიტყვით, შეუმუშავებიათ თავიანთი მოთხოვნილებანი. თხოულობენ პენსიის დანიშნას, ჯამაგირის მომატებას, უფასო მკურნალობას და სხვას.

◆ ამ ცოტა ხანში **მოხდება არჩევნები** ბათუმის ქალაქის გამგეობის წევრისა ადმინისტრაციის მიერ დანიშნულ ივანოვის ნაცვლად, რომელსაც სამსახურის ვადა უთავდება. ადგილობრივ გაზეთის სიტყვით, კანდიდატებად ასახელებენ: ბაქოელ გამომძიებელ ნიჟარაძეს, გურიის მაზრის უფროსად ნამყოფს ლაზარენკოს, იურისტს თავ. ერისთავს, სამტრედიის მომრიგებელ მოსამართლეს კანდელაკს, ტფილისის ქალაქის მოურავის ძმას ვერმიშევს, აგრონომს ჩილინგარიანს და ან. დიმ. დეკანოზიშვილს. რა თქმა უნდა, ძველ წევრს, ხალხის სურვილის წინააღმდეგ დანიშნულ ივანოვს, არავინ არ ასახელებს.

◆ **ყაზანში დაუჭერიათ ერთი კაცი**, რომელსაც უთქვამს, სამხედრო ექიმი პოპოვი ვარო. ამ კაცს აღმოსჩენია 228,000 მანეთის ფული და სარგებლიანი ქაღალდები. გამოძიების დროს გამოტეხილა, ეს ფული ბაქოში არეულობის დროს, 6—9 თებერვალს, ერთ მდიდარ სომეხს მოეპარეთ.

გაზეთი **«ცნობის ფურცელი»** ადგილობრივ და გაგზავნით ღირს: 1 წლით 6 მან., 11 თვ 5 მ. 75 კაპ. 10 თვ. 5 მ. 20 კაპ., 9 თვ. 5 მ., 8 თვ. 4 მ. 50 კაპ., 7 თვ. 4 მ. 6 თვ. 3 მ. 50 კ., 5 თვ. 3 მან., 4 თვ. 2 მ. 60 კ., 3 თვ. 2 მან., 2 თვ. 1 მ. 50 კ. ხელის მოწერა მიიღება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან. გაზეთის გაწერა ერთ თვეზე ნაკლებ არ შეიძლება და არა მეტი წლის ბოლომდის.

ხელის მომწერთ, რომელთაცა ჰსურთ რაიმე ცნობა მიიღონ კანტორიდან ხელის მოწერის შესახებ ან ფულს გზავნიან რედაქციაში, ან ადრესს იცვლიან, „ცნობის-ფურცლის“ კანტორა უმორჩილესად სთხოვს მათ **გამოუგზავნონ ბანდეროლი ან მოიჭრონ ის ნომერი, რომელიც ადრესზედ დაანებდილი.**

როცა ვინმე იწერება ადრესის გამოცვლას, მასთანვე ძველი ადრესი და გამოსაცვლელი 40 კაპ. უნდა გამოუგზავნოს რედაქციას. ადრესის გამოსაცვლელი 40 კაპ. შეიძლება ფოსტის მარკებით გამოიგზავნოს.

1 თიბერვლიდან წლის დამლევამდის „ცნობის-ფურცელი“ ღირს 5 მ. 75 კაპ.

ცალკე ნომერი გაზეთისა ყოველგან ღირს 3 კაპ. **სურათებიანის დამატებით—5 კაპ.**

◆ ქუთაისის კომიტეტს მიუღია **თავ. აკაკი წერეთლის ფონდისთვის**: დ. ივ. ჩხიკვიშვილისაგან ხუთი თუმანი; თითო თუმანი: ვ. თუმანიშვილისა და დ. ი. ბაქრაძისაგან; ხუთ-ხუთი მანეთი: ე. ბურჯანაძისა, პ. კოკოჩაშვილისა, ბ. ლოლაძისა, ს. ყიფიანისა, კ. მაღრაძისა, გ. ცაგარეიშვილისა, ვლ. კანდელაკისა, დ. ოყრომიძისა და დ. ლორთქიფანიძისაგან; სამ-სამი მანეთი: ილ. მიქელაძისა, პ. მოსიძისა, ბენ. მამფორიასაგან; ორ-ორი მანეთი: ა. ჩარექოვისა, ს. დათეშიძისა და ალ. ბეშკენაძისაგან; თითო მანეთი: გრ. ზაზიაშვილისა და მღ. იელ. აშესაძისაგან.

◆ 20 მარტისთვის დანიშნულია წლიური კრება ტფილისის საურთიერთო ცეცხლისაგან დამზღვევ საზოგადოებისა.

◆ მუკდენის ბრძოლის დროს დაჭრილა პორუჩიკი ბეგლარ მარკოზის ძე ზვიადაძე.

◆ რედაქციამ მიიღო ახალი წიგნი: „შილერის პოეზიის ძირითადი თვისებანი“, თხზ. ექ. ივ. გომართელისა. წიგნი მეორე გამოცემაა და ღირს ერთ აბაზად.

◆ 12 მარტს ტფილისის სასამართლო პალატამ განიხილა საქმე ბაქოს ნავთის მწარმოებელთა ამხანაგობის „ორიონის“ დირექტორის პავლე ასლანოვისა. ასლანოვს ბრალდებოდა ამხანაგობის კასიდან 250,000 მან. წაღება და საზღვარ გარედ წასვლა. ეს ამბავი მალე პოლიციას უცნობებია საზღვარზე პოლიციისათვის და ბრალდებული ასლანოვი დაუპატიმრებიათ ვოლოჩისკში. ასლანოვსთან არაფერი აღმოჩენია, მხოლოდ თავისი ფული 136,000 მანეთი გაუტანია საზღვარ გარეთ ბანკში დეპოზით. გამოძიებას აღმოუჩენია, რომ ამხანაგობის კასაში ყოფილა 50,000 მან. და ეს ფული თამასუქებით გადაუცია ამხანაგობის წევრთათვის, რის უფლებაც არა ჰქონია. ამხანაგობას ჰქონებია აგრეთვე 200,000 მან. ნავთი. ჰგონებიათ, ვითომ ეს ნავთიც გაეყიდოს ასლანოვს. მაგრამ ნავთს ერთი ფუთიც არ მოჰკლებია. ბაქოს ოლქის სასამართლოს ასლანოვი დამნაშავედ უცვნია და გადაუწყვეტია ორის კვირით დაპატიმრება. პალატამ გაამართლა.

◆ 16 მარტს, საღამოს 5 საათზედ, ახალციხის მცხოვრებს ხაჩატურ ბახჩიკოვს სოფიო მარუთოვისა დაუჭრია დიდის დანით. დაჭრილი სამკურნალოში გაგზავნეს.

◆ პოლიციის მე-5 ნაწილში 16 მარტს ადოლფ ვერნერს სახლში შეპარვია ვიღაც ბოროტ-განმზრახველი საღამოთი და 350 მან. საღირალი ნივთები მოუპარავს.

◆ ტფილისის მოქალაქემ გრიგოლ პოლოსოვმა პოლიციის მე-5 ნაწილში მოიყვანა ტფილისის მცხოვრები მიხაკ ბეგიჯანოვი და განუცხადა პოლიციას, რომ ბეგიჯანოვმა 160 მან. მომპარა ყუთიდანო.

◆ სასახლის ქუჩაზედ ამას წინად მესაათე კაცთან შევიდა ვიღაც უცნობი ვითომც საათის სასყიდლად და მოიპარა ოქროს საათი, 100 მან. ღირებული. ქურდი დააპატიმრეს პოლიციის მე-4 ნაწილში და აღმოჩნდა შუშის მცხოვრები ალავჯანოვი. ქურდმა სთქვა, საათი მივყიდე ბუღდან ტოროხოვს, რომელიც ქალაქიდან სადღაც წასულაო. ალავჯანოვს ჩილინგაროვისთვის მოუპარავს 100 მან. ბეჭედი ბრილიანტით.

◆ სათავად-აზნაურო ბანკის ქარვასლაში მოვაჭრე სალომონ ლაქსინს თავის მსახურ მკროპ თადიანცისათვის გაუტანებია სხვაგან 10) მანეთის ნივთები. თადიანცი სადღაც გაპარულა. როდესაც დაუჭერიათ, უთქვამს, მინასოვთან ერთად ნივთები სამტრედიაში მივყიდე ერთ ოქრომჭედელსაო. მინასოვს-კი განუცხადებია, ნივთები 8 მან. 50 კაპ. დავაგირავეთო.

◆ სოფ. ბაზალეთში (დუშეთში) სამინისტრო სკოლა დაუარსებიათ.

◆ სოფ. ცინევდავიდან (დუშეთის მაზრა) გვატყობინებენ, რომ ამ დღეებში იქ ვიღაცეებს გადუწვავს გიგოლა ბითარაშვილის სახლი და საბძელი

◆ სოფ. მუხრანში (დუშეთის მაზრა) მოუკლავთ ბადურა ჩეკურაშვილი. მკვლელი აღმოჩნდა ამავე სოფლის მცხოვრები მიხეილ ცუცუაშვილი.

◆ 16 მარტს მნაცაკანოვის აღმართზედ წაიჩხუბნენ ალავერდ ხარაშვილი და ბახშო ანდრეევი, რომელიც სასიკვდილოდ დასჭრა ხარაშვილმა. დაჭრილი მიხეილის სამკურნალოში გაგზავნეს, ხარაშვილი დააპატიმრეს.

◆ გუშინ, 16 მარტს, თამამშევის ქარვასლის წინ ერთ მოხუც მანდილოსანს ჯიბგირმა ფულის ქისა ამოაცალა ჯიბიდან და გაიქცა. მანდილოსანს გული შემოეყარა და დაიწყო თმების წეწა-გლეჯა. აღმოჩნდა, რომ ქისაში 6 მანეთი და 50 კაპიკი ჰქონიყო. იქვე მყოფმა ხალხმა შეუგროვა 8 მანეთამდის და მისცა.

დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

პეტერბურგი. ნამესტნიკი გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი დიდ-მარხვის მეოთხე კვირას გამოემგზავრება კავკასიაში.

16 მარტს შინაგან საქმეთა მინისტრის ბულიგინის სახლში შესდგა პირველი კერძო კრება ხალხის წარმომადგენელთა მოწვევის შესახებ. ამ კრებას ჰქონდა კერძო ხასიათი ერთმანეთის აზრის გასაგებათ.

ბეჭდვითი სიტყვის კომისიის კრებაზე თ. წერეთელმა გამოსთქვა, რომ არ დაიბეჭდოს უსახელო წერილები გარდა უმნიშვნელო ამბებისა.

ქუთაისის ახალი ამბები

◆ იმ დეპუტაციას, რომელსაც ჭიათურიდან ჯარის გამოყვანისათვის უნდა ეშუამდგომლა გენ.-გუბერნატორის თ. ორბელიანის წინაშე, სხვათა შორის, ისიც უნდა ეთხოვა, რომ ჭიათურის მცხოვრებნი გაენთავისუფლებინა იმ სამასი თუმნის გადასახადისაგან, რომელიც ეხლახან შეუწერიათ მათთვის ორის დარაჯისა და საქმის მწარმოებლის მოკვლისათვის. თავ. ორბელიანს უპასუხნია დეპუტაციისათვის, მე თავად ამოვალ ამ ორ-სამ დღეში ჭიათურას, ვნახავ საქმესო და პასუხსაც იქ გეტყვითო.

◆ აღმოსავლეთის ქარი, ეს მოუშორებელი სტუმარი ჩვენის ქუთაისისა, ერთიანად ჰგლეჯს და სწეწავს ყველაფერს. ასეთი ძლიერი ქარი არ ახსოვს ქუთაისს, ქუჩაში გავლა შეუძლებელი ხდება აუტანელის მტვერის გამო, თვალს ვერ გაახელ, სულს ვერ მოიბრუნებ.

◆ მხოლოდ ამ დილით, 15 მარტს, მცხოვრებთ საზოგადოდ მხიარულად გაახილეს თვალი და სულიც მოიბრუნეს მიუხედავად ამ ცუდის ამინდისა: წუხანდელმა თათბირის შედეგმა იქონია ეს კეთილი გავლენა მშობლებსა და საზოგადოდ მთელს მცხოვრებლებზე. გუშინ ვწერდით ამ თათბირის ამბავს და დღეს დილით გამოცხადდა, რომ სწავლა შეწყვეტილია ყველგან, ყველა სასწავლებელში. ამ ჟამად დღეს-დღეობით გადაუჭრით მოსალოდნელს ხიფათს.. ქუჩებში შემდეგი განცხადებაა გაკრული გენერალ-გუბერნატორისა: ახალ განკარგულებამდის შეწყვეტილია სწავლა: ქუთაისის სავაჟო გიმნაზიისა, რეალურს სასწავლებელსა, წმ. ნინოს ქალების სასწავლებელსა და 1 ქალაქის 6 კლასიანს სასწავლებელში.

◆ ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი თ. ჯამბაკურ-ორბელიანი 15 ამა თვეს ღამის მატარებლით წავიდა თავის შტაბით დ. ჭიათურაში.

◆ 27 მარტისთვის დანიშნულია ქუთაისის საკრედიტო ბანკის საზოგადოების წევრთა მორიგი კრება. განსახილველია შემდეგი საგნები: ა) განხილვა და დამტკიცება 1904 წლის ანგარიშისა. ბ) განხილვა საზოგადო კრების მიერ არჩეულის კომისიის მოხსენებისა იმის შესახებ, თუ რამ გამოიწვია ახლანდელი გაჭირვებული მდგომარეობა ხალხისა და გ) არჩევა სარევიზიო კომისიის სამის წევრისა და ამათის კანდიდატებისა ნაცვლად ძველებისა.

რუსეთის ქრონიკა

საფინანსო წრეები დიდის ნდობით ეკიდებიან თურმე პარიზიდან მოსულ ცნობებს ზავის ჩამოგდების სიახლოვეზე. ბირჟის განწყობილება უფრო მტკიცეა. ელიან, რომ 25 მარტს გამოცხადდება დიდმნიშვნელოვანი ამბავი, რომელსაც კავშირი აქვს ხალხის წარმომადგენლების მოწვევასთან. („ო. ნ.“).

კობეკოს კომისიამ 18 ხმით წინააღმდეგ ორისა გადაუწყვეტია წიგნების ცენზურის მოსპობა, მიუხედავათ წიგნის სიდიდისა, მაგრამ იმ პირობით კი, რომ დაბეჭდილი ეკზემპლიარი ცენზურაში იქნეს წარდგენილი: ცენზურა ერთის კვირის განმავლობაში ან ბილეთს მისცემს გამომცემელს ან და, თუ წიგნის შინაარსი მავნებლად იქნა ცნობილი, სასამართლოში წარადგენს.

არჩეულ მოსამართლეს მომხრე ყოფილა ახალი მინისტრი იუსტიციისა და იმედი აქვთ, რომ ინსტიტუტი მალე იქნება შემოღებული.

პოლონური სკოლა. 8 მარტს მინისტრების სხდომაზე შეუდგნენ სასკოლო საქმის განხილვას პოლონეთში. სახალხო განათლების მინისტრს რეფორმის პროექტი არ წარუდგენია, მაგრამ სთხოვა კოლეგებს გამოეთქვათ თავიანთი შეხედულება, შესაძლებელია თუ არა ეხლავე მოისპოს საგნების რუსულად სწავლება და პოლონურ ენაზე სწავლება დაწესდეს.

დიდი უმრავლესობა, მათ შორის ს. ვიტტეც, იმ აზრის იყვნენ, რომ პოლიტიკურის მიზნით შემოღებულმა სისტემამ (რუსულად სწავლება საგნებისა) ვერ გაამართლა დანიშნულება, სამაგიეროთ მტრობა და შუღლი ჩამოაგდო რუსებსა და პოლონელებ შორისო; რუსულ სკოლას არავითარი ავტორიტეტი და ნდობა არა აქვს პოლონელებ შორისო.

ამიტომ, რომ უფრო მეტი ნდობა დამყარდეს რუსებსა და პოლონელებ შორის, მინისტრთა თათბირის აზრით, სასურველია, რომ პოლონეთში საგნებს პოლონურად ასწავლიდნენ, პოლონური ენა ერთი უმთავრესი საგანთაგანი იქნეს და საზოგადოთ პოლიტიკურად მეტი თავისუფლება დამყარდეს პოლონურ სკოლებში.

თანხმად მინისტრების ამ შეხედულობისა, სახალხო განათლების სამინისტრო შეადგენს პროექტს პოლონურ სკოლისას, რომელსაც შემდეგ განიხილავს საბოლოოდ იგივე მინისტრთა კომისია. (ბ. ვ.).

„ჩინოვნიკების“ გაბეგვრა. სხვა-და-სხვა უწყების დეპარტამენტებში ეხლა სინჯავენ ფინანსთა სამინისტროს მიერ შედგენილ პროექტს, რომ ყველას, ვინც-კი სახელმწიფო სამსახურშია, თვეში 14 პროცენტი გამოაკლონ. ეს გამოკლება ასე იქნება განაწილებული: საპენსიო თანხისათვის 4 პროცენტი (ეხლა 2 პროცენტია) და სამხედრო საჭიროებისათვის 10 პროცენტი (გარდა იმისა, რასაც ეხლა სწირავენ). გარდა ამისა, როგორც ვიცით, სამერიტალო კასსაში მიდის მოხელის ჯამაგირიდან 4 პროცენტი. ამ გვარად მოხელეებს უნდა მოაკლდეს ამ პროექტით 18 პროცენტი ჯამაგირისა. იუსტიციის სამინისტროს უკვე გამოუცხადებია თანხმობა ამ პროექტზე. („რუს“).

წერილი რედაქციის მიმართ

I

ბ-ნო რედაქტორო! პასუხად იმ წერილისა, რომლითაც თქვენის გაზეთის შემწეობით ბ-ნ სიტევას ვიწვევ სამედიატორო სამართალში, მან გამოაცხადა თავისი პრინციპიალური თანხმობა, მხოლოდ თხოულობს, რომ „მედიატორეთ მიერ საქმის გარჩევა გადაიდოს მაის-ივნისამდის, როდესაც დაბრუნდებიან რუსეთიდან სტუდენტები და შეძლება მოგვეცემა ორივე მხარეს, მოვიწვიოთ საჭირო მოწმები“.

თუმცა ეს პირობა საეჭვოდ და ამასთანავე უსაფუძვლოთ მიმაჩნია, რადგანაც, ჩემის აზრით, თვით სასამართლოს ვალია გადასწყვიტოს, ვინ უნდა იყოს მოწვეული მოწმად, თუ კი მათს მოწვევას საჭიროდ დაინახავს, მაინც იძულებული ვარ თანხმობა გამოვაცხადო, რათა არავის ეგონოს, რომ ამ პირობის უარ-ყოფით სამართლის თავიდან აცილება მსურდეს.

მოსამართლეთ, როგორც გადავსწყვიტეთ ბ-ნ სიტევამ და მე კერძო მოლაპარაკების შემდეგ, თითო მხრიდან ორ-ორი კაცი იქნება, მეხუთეს, სასამართლოს თავმჯდომარეს, ეს ოთხნი ამოარჩევენ.

შესახებ ბ-ნ სიტევას მესამე თხოვნისა—რწმუნებულობის ქაღალდის წარმოდგენისა,—საჭიროდ მიმაჩნია შემდეგი განმარტება. ბ-ნი სიტევა ბრალსა სდებს პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტების იმ ჯგუფს, რომელმაც მიმდინარე აკადემიურ წლის განმავლობაში ქართული საღამო გამართა. ეს საღამო, როგორც მოეხსენება ბ-ნ სიტევას, გამართა ქართველთა ახალმა ჯგუფმა (Землячество). მაშასადამე, ბ-ნ სიტევას სამედიატორო სამართალში გამოწვევას და საქმის წარმოების ჩემთვის მინდობას მხოლოდ იმ ჯგუფს შეეძლო, რომელიც ასე მძიმედ შეურაცხჰყო მან თავის ფელეტონში. ამიტომაც მე სრულიად საჭიროდ მიმაჩნია წარვუდგინო ამ ჯგუფის ყრილობის ოქმიდან ამოწერილი დადგენილება, რომელიც ვალსა მდებს სამედიატორო სამართალში გამოვიწვიო ბ-ნი სიტევა. ეს მოწმობა ხელმოწერილია ჯგუფის მდივნისაგან. მაგრამ, რადგანაც ბ-ნ სიტევას სურვილი, იცოდეს, ვინ არიან

ვერ ვიპოვე, ხახმატში გამეოლოდა. ერიდებოდნენ გუროელების შეხვედრას. გულსაკლავი რამ არის მათი საქმე. ბიძა დის-წულს დასდევს მოსაკლავად, პაპა—შვილის-შვილს, სიძე ცოლის ძმას, რადგან ერთი სოფელი ემტერება მეორე სოფელს ნათესაობის განურჩევლად და განუკითხავად.

ხევსურებს ბევრი ისეთი ჩვეულება შერჩენიათ, რომელიც ფრიად საინტერესოა სოციოლოგიისათვის. მაგალითად, ხევსურეთში ქალს ბევრად უფრო დიდი თავისუფლება აქვს, ვიდრე საქართველოს რომელსამე სხვა კუთხეში. თუ ხევსურელ ქალს ქმარი არ მოეწონა, მეტადრე თუ უშვილოა, ადვილად სტოვებს მას და სხვასთან მიდის. ამგვარად ქალი ორჯერ-სამჯერ გამოიცვლის ხოლმე ქმარს, სანამ ვინმე ისეთი არ შეჰხვდება, რომელთანაც სიყვარულის ან სხვა მაზეზის გამო საუკუნოდ რჩება. რას უნდა მივაწეროთ ამგვარი თავისუფლება ქალისა ხევსურეთში? ალბად, სისხლის ძიების ჩვეულებას, მჭიდრო ორგანიზაციას თემებისას, გვარებისას. გვარი იფარავს ქალს ქმრის მრისხანებისაგან. ქმარმა რომ ცოლი მოჰკლას, მთელი გვარი მოკლულის ქალისა მტრად გადაეკიდება მკვლელის გვარს.

ყველგან, სადაც-კი თემური ცხოვრება გადავარდნილა და არისტოკრატიის იერარქია დაწესებულა, ამ არისტოკრატიისაგან დადგენილი კანონები ბევრად უფრო სასტიკნი ყოფილან ქალებისათვის, ვიდრე ჩვეულებანი სისხლის ძიების დროისა. როდესაც ხალხი თემებად სცხოვრობდა, მცხოვრებნი, კაცნიც და ქალნიც, ბევრად უფრო თავისუფალნი იყვნენ. ძველებურმა სახელმწიფო ორგანიზაციამ შეჰქმნა მონობა და დაუმორჩილა ხალხი არისტოკრატიას, ქალი კაცს, შეჰქმნა მთელი კიბე მორჩილებისა და დამოკიდებულებისა. ძლევა-მოსილება ამგვარი სახელმწიფოსი იზრდებოდა მით, რომ ისპობოდა თავისუფლება, და ეს იყო მთავარი მიზეზი, რომელიც ამხობდა ბოლოს და ბოლოს, ჭია, რომელიც საფუძველს ულპობდა ძველ სახელმწიფოებს. კაცი, მონად გადაქცეული, სულით, ე. ი. გონებით და ზნეობით, მდაბლდება და ვეღარა ჰქმნის პროგრესს. იგი წინსვლის მაგიერ უკან-უკან მიდის. ბოლოს და ბოლოს იგი ადგილს უთმობს თავისუფალ, მხნე, ენერგიით სავსე კაცს. ძველმა საბერძნეთმა მიტომ შეჰქმნა შესანიშნავი კულტურა და განათლება, რომ თავისუფალ თემებისაგან შესდგებოდა. ნაკლულევანება კი ძველის საბერძნეთისა მონობა იყო. ამგვარად, თავისუფლება იყო ძველის საბერძნეთის მზრდელი და აღმაღორძინებელი და მონობა იყო მისი დამღუპველი და დამამხობელი. თავისუფლება კეთილშობილთა და მონობა დანარჩენთა,—აი ის ორი ელემენტი, რომლის შემწეობითაც შეიძლება ავხსნათ მოვლენანი ძველის საბერძნეთის ისტორიისა, მისი ძლიერება და სისუსტე, ავი და კარგი.

დღეს თავისუფალ ძველ ბერძენთა ზნეობა ჩვენში მხოლოდ მთიულთ შერჩენიათ. მიეცით მათ ფართო გზა მოქალაქობისა და მაშინ ნახავთ, განათლების რა ხარისხსაც მიაღწევენ იგინი.

მიყვარს ხევსური, რადგან იგი პირდაპირია, შეუპოვარი ვაჟკაცია, თან გულ-ახდილი, ალალ-მართალი, მიყვარს მისი გულ-უბრყვილო, თითქმის ბავშვური ლაპარაკი, უკეთ რომ ვსთქვათ, ტიტინი. ამ ლაპარაკში იხატება ხევსური მთლად, მისი სიკეთე, გულ-ახდილობა, მამაცობა და ნიჭი. ხევსური ბავშვია, მაგრამ ნიჭიერი ბავშვი, რომელსაც ბრწყინვალე მომავალი მოელის. დიახ, ხევსური ამხანაგისთვის თავ-დადებულია და თან რისხვის მიმცემი მტრისათვის, კეთილი და მამაცი, გულ-უბრყვილო და ნიჭიერი. სხვაგან სადღა ნახავ ახლა ასეთს ხალხს.

მიკვირს კი, როგორ შეინახა ხევსურმა თავის გაჭირვებულ მდგომარეობაში ასეთი სიმტკიცე და მთლიანობა ხასიათისა. ხევსური ძლიერ ღარიბია. საკვირველიც არ არის. კავკასიონის მწვერვალებზე აბა რა უნდა მოვიდეს. ქერი და შვრია, აი ხევსურის საზრდო. პური ხევსურეთის მთიან ადგილებში არ მოდის. ზამთარი ხანგრძლივი იცის და, თუმცა თივა ბლომად ითიბება, მაინც არა ჰყოფნის საქონელს, ასე რომ ნეკერსა და რაღაც ბალახებს წიწკნიან ზამთარში და იმით გამოდიან იოლად.

ხევსურის მთავარი საქონელი ძროხაა, მთავარი გასასყიდი მასალა—კარაქია და კარგი კარაქიც. კარაქით ისტუმრებს ხევსური სახელმწიფო და სხვა გადასახადებს.

უკანასკნელ დროს ხევსურებმაც დაიწყეს სიარული ბარში სამუშაოდ. მაგრამ მთავარი წყარო ცხოვრებისა, როგორც ვსთქვით, ისევ შინაური მეურნეობაა.

ზამთარში ხევსურთა მამაკაცები ბევრს არაფერს აკეთებენ, რადგან მაგოდენი საქმე არა აქვთ-რა. მათი უმეტესობა შინა რჩება და ბარში არ მიდის სამუშაოდ. სასურველია, ჩვენი აგრონომები რამე ღონეს იღონებდნენ და ხევსურებს რამე ხელ-საქმეს ასწავლიდნენ, ამგვარად ხანგრძლივ ზამთარში საქმეს აღმოუჩენდნენ. ვერავინ ვერ უარ-ჰყოფს, სიზარმაცის მიზეზი უცოდინარობაა, სხვა არაფერი.

ვასილ წერეთელი.

(დასასრული იქნება)

სახელდობრ მისგან ლაფში ამოსვრილნი, შესაწყნარებლად მიმაჩნია, მოვალედ ვრაცხ ჩემს თავს წარვუდგინო მედიატორთა სასამართლოს სრული სია წევრთა იმ ჯგუფისა (землячества), რომლის ინტერესის დაცვა მე მაქვს მინდობილი.

სტ. პარმენ გედევანიშვილი

II

ბ-ნო რედაქტორო! რადგან დადგა ის ბედნიერი და სანატრელი დრო, როდესაც შესაძლებელია ბეჭდვითი სიტყვის საშუალებით გამომჟღავნება და საჯაროდ გაკიცხვა ყოველგვარ ზნეობრივ სიყალბისა და სიდუხჭირისა საზოგადოებრივს ცხოვრებაში, ნება მიბოძეთ მივმართო თქვენს გაზეთს იმ ზოგიერთ ჩემ „მეგობრების“ დასახასიათებლად, რომელნიც საქვეყნო, ეროვნულ საქმეს ხმარობენ როგორც ფარდას ჩემთან პირად ანგარიშების გასწორების დროს. დიახ, ამ ვაჟბატონების საქციელი, მათი უმგვანო, უსირცხვილო ხრიკები საჯაროდ დასაგმობია, ვინაიდან იმათის წყალობით, შესაძლებელია, შეფერხდეს, საშიშარს მდგომარეობაში ჩავარდეს ის საკითხი, რომლის გადაწყვეტაზედაც არის დამოკიდებული ბედი არა მარტო მცირე გურიისა, არამედ მთელის ჩვენის ქვეყნისა...

გურიაში მომხდარი არეულობა, რომელიც უკანასკნელს ხანებში მეტის-მეტად გამწვავდა, მე ყოველთვის ღრმა მნიშვნელობიან ეროვნულ საკითხად მიმაჩნდა და მზად ვიყავი სულითა და გულით, დავხმარებოდი ჩემის მცირე ძალ-ღონით, გამოცდილებით იმას, ვინც მოახერხებდა გურიაში უმსხვერპლოდ და სისხლ-დაუღვრელად მშვიდობიანობის დამყარებას. მე ჩემს დღეში არ ვყოფილვარ მქადაგებელი და მომხრე ხალხის და ერის გამანადგურებელ ადმინისტრატიულ რეპრესიებისა და დღესაც იმ აზრისა ვარ, რომ ყოველივე ღონე უნდა ვიღონოთ, რათა მშვიდობიანად აღვადგინოთ, დავამყაროთ ის ძმური ურთიერთობა მუშა ხალხსა და თავად-აზნაურობის შორის, რომელსაც მოითხოვს ეხლანდელი დრო, ხალხის ეხლანდელი თვით-ცნობიერება. მე რომ უკიდურესი ფეოდალი არა ვარ და ხალხისთვის სასტიკ რეპრესიების მოთხოვნით არავისთვის მიმიმართავს, ამაში ვიმოწმებ თვით გურიის ხალხს, ნამდვილს პატიოსანს, კეთილ-სინდისიერ ხალხს და არა იმ ზოგიერთ ჩემ „მეგობრებს“, რომელთაც ხალხთან და მის ნამდვილ ინტერესებთან არავითარი კავშირი არა აქვთ. ეს ქვეყნის საზიზღარი მტრები მარტოდ სარგებლობენ ეხლანდელ გურიის არეულობით და ისედაც აღელვებულ ხალხში, ვინ იცის, რა ჭორებს არ ავრცელებენ, რათა ჩირქი მოსცხონ და საშიშარ მდგომარეობაში ჩააყენონ მათგან ათვალწუნებული კაცი...

ამ უკანასკნელს ხანებში ჩემმა „მეგობრებმა“ ზოგი უსახელო წერილების საშუალებით და ზოგიც სხვა გზებით ჩემს ყურამდის მოაღწევინეს, ვითომც გურულები ძალიან მომდურავი და გამწყრალნი იყვნენ ჩემზე იმისთვის, რომ მე მონაწილეობა არ მივიღე იმ დეპუტაციაში, რომელიც წარუდგა ტფილისში მთავარ-მართებლის თანამდებობის აღმასრულებელს და სთხოვა ბ-ნ სულთან-კრიმ-გირეის დანიშვნა გურიის საქმეების გამოსაძიებლად. მერე როდის, ან ვინ შემატყობინა დეპუტაციის დანიშვნა, ან ვინ მომანდო გურიის საქმეზე ტფილისში მთავარ-მართებელთან წასვლა? მართალია, მე როგორც მთელის წოდების წარმომადგენელს, ნება არა მქონდა ამ წოდების მოუნდომლად მის მაგიერ მელაპარაკნა გურიის საქმეებზე, მაგრამ, დროზე რომ მცოდნოდა სხვების წასვლა ტფილისში, უსიკვდილოდ მე წავიდოდი და მთავრობას ვაცნობებდი მთელის გურიის თავად-აზნაურობის აზრს თუ არა, ჩემსას მაინც იმ ფრიად მწვავე საკითხის შესახებ, რომელსაც შეადგენს გურულ ხალხის არეულობა უკანასკნელის დროისა. ჩემის სინიდისის წინაშე ვაღიარებ, რომ დანამდვილებით არ ვიცოდი არც დრო გურიის დეპუტაციის ტფილისისაკენ გამგზავრებისა და არც ის, თუ რა აზრით გაემგზავრა იგი. იმ ხანებში მომივიდა ტფილისიდან ერთი დეპეშა, ვიღაც „ნიკო“-საგან, რომელიც მიწვევდა ტფილისში საჭირო საქმეების გამო. მაგრამ, რადგან ტფილისში ბევრი „ნიკო“-ები მყავს ნაცნობი და მეგობარი, ვერ გავარკვიე, თუ ვინ უნდა ყოფილიყო ეს „ნიკო“, და ვერც ის წარმოვიდგინე, თუ რა საჭირო საქმეებისთვის მიწვევდნენ ტფილისში. მერე-კი დავრწმუნდი, რომ ეს დეპეშა ნ. თავდგირიძისაგან იყო გამოგზავნილი, მაგრამ გვიან-ღა იყო. მე მგონია, ჩემს გამოურკვევლობას და ყოყმანს ნათლად ამტკიცებს ის გარემოება, რომ, სანამ დეპეშით მივმართავდი ტფილისში ნ. თავდგირიძეს, ჯერ ქუთაისში მისი და ვინახულე, რომ დავრწმუნებულიყავ ნიკოს ტფილისში ყოფნას. ჩემს დეპეშაზე ნიკოსგან არავითარი პასუხი არ მიმიღია, უთუოდ მისთვის, რომ გვიანღა-იყო. კიდევ საბუთი ჩემი გამამართლებელი: როდესაც ტფილისიდან დაბრუნებულს ქუთაისის გუბერნიის მარშლის მოადგილეს თ. დ. ნიჟარაძეს შევჩივლე, რომ მე გურიის დეპუტაციის ტფილისში წასვლის შესახებ არაფერი ვიცოდი-მეთქი, მან მიპასუხა, არც არაფერი მე მცოდნია, კერძო ნაცნობისაგან საჩქარო დეპეშა მომივიდა და, როდესაც ტფილისში მივედი, მხოლოდ იქ შევიტყე, რომ გურიის დეპუტაციაში მონაწილეობა უნდა მიმეღოო. ამ ჩემს სიტყვებს, იმედია, თავ. ნიჟარაძე გაზეთის საშუალებით დაამოწმებს, თუ ეს საჭირო იქნება.

საქმის ვითარება ამგვარია და დეე მკითხველმა განსაჯოს, აქვთ თუ არა ჩემს „მეგობრებს“ რაიმე საფუძველი, რაიმე ზნეობრივი უფლება შემწამონ მე სასტიკ რეპრესიების მომხრეობა და გურიის ხალხის მტრობა. კიდევ თამამად ვიმეორებ: რომ დროზე მცოდნოდა, გურიის დეპუტაციას მე უკან არ ჩამოვრჩებოდი, და ჩემს აზრსაც განვუზიარებდი მთავრობას უშიშრად, თუნდაც ჩემს „მეგობრებს“ ეგ აზრი სრულიადაც არ მოსწონებოდათ. რაც არ უნდა ბრძანონ ჩემმა „მეგობრებმა“, მე ჩემი საკუთარი, დამოუკიდებელი აზრი მაქვს, რომლის გამოთქმისათვისაც, დარწმუნებული ვარ, ნამდვილი გურიის ხალხი ქვით არ ჩამქოლავს. მე გურიაში დაბადებულ ვარ, გურიის ხალხში გავზრდილვარ, დღესაც იქ ვტრიალებ. ეგ ხალხი მე კარგად მიცნობს; იცნობს იგი ჩემს ღირსებას და ნაკლულევანებას. უცოდველ ანგელოზად თავი არ მიმაჩნია, მაგრამ თამამად კი შემიძლია ვსთქვა, რომ ხალხის მტერი, მის წმინდა მისწრაფებათა მდევნელი თავის დღეში არა ვყოფილვარ. დარწმუნებული ვარ, რომ გურიის ხალხიც კარგად გრძნობს ჩემი სიტყვების სიმართლეს. მეც სწორედ ყოველივე ამას ნამდვილ გურიის ხალხისათვის ვსწერ და არა იმ ჩემ „მეგობრებისათვის“, რომლებიც წყალს განზრახ ამღვრევენ, რომ და თევზების დაჭერა ადვილი იქმნებაო...

თქვენი ერთგული გურიის თავად-აზნაურობის წინამძღოლი **თავ. კ. დ. ერისთავი.** *)

11 მარტი 1905 წ.

III

13 მარტს დიდუბის მხრიდან ჩვენ, ოთხი კაცი, ჩავსხედით ბორანში გაღმა გასასვლელად. სრულიად ფხიზლები ვიყავით და შეუზარხოშებელნი. მებორნე იყო მთვრალი და ორთაყვირს უწესრიგოდ უსვამდა, რის გამოც ბორანი აყირავდა, ჯაჭვი გაწყდა და ბორანი გადაბრუნდა. ვინც ცურაობა ვიცოდით, ისინი გადავრჩით, ერთი ჩვენი ამხანაგი-კი დაირჩო. იმისი გვამი მეორე დილით იპოვნეს. მებორანე გადაიკარგა სადღაც, რადგან იგრძნო დანაშაული.

აი, ასე მოხდა ეს ამბავი და არა ისე, როგორც „ცნობის ფურცლის“ 16 მარტის ნომერში იყო აწერილი. იქ ნათქვამია, ვითომ ჩვენ შეზარხოშებულნი ვიყავით. ეს სიმართლეს მოკლებულია. აქვე უნდა დავძინო, ვინც გადარჩა თავისით გადარჩა, სხვის დაუხმარებლად.

ჯავახიშვილი

ქრონიკა

თელავი. ქუთაისის გუბერნიაში ხომ განძლიერებულ დაცვის წესებია შემოღებული. ყველგან ჯარი, ყაზახები, შტიკი, ხმალი და მათრახია. სწორედ ამ მხარეს და მის სატახტო ქუთაისში მომიხდა ყოფნა და მოვისწრაფებოდი მიძინებულ თელავისაკენ. მომწყინდა შტიკის ყურება, მათრახის ხილვა და საჩქაროდ გამოვწიე, მაგრამ ჩემ განცვიფრებას საზღვარი არა ჰქონდა, როცა თელავიც არა სანუგეშებელ მდგომარეობაში დამხვდა, აქაც შეიარაღებული სალდათები და ამხედრებული „სტრაჟნიკები“. თელავშიაც დაირღვა მყუდროება, აქაც შეირყა ცხოვრება და თუმცა ამას ზოგი აქარწყლებს, ზოგი მნიშვნელობას აძლევს და ზოგს სიცილად არა ჰყოფნის, მაგრამ მაინც ვიტყვი, რომ თელავსაც დაჰბერა შავი ზღვიდან დასავლეთის სიომ და დიდი ხნიდან ჩვეულს ძილი დაუფრთხო...

თელავში საკვირაო სკოლაც არის, ბიბლიოთეკაც და შეიძლება ვსთქვათ—თეატრიც, მაგრამ არც ერთი თავის დანიშნულებას არ ემსახურება. პირველში აქაურ მასწავლებელნი და არა პედაგოგი ისევ შარშან „გაითიცნენ“ და მართლაც სულ ორის-სამი მეცადინეობს მათგან. სასწავლებლად ვინც დაიარება, მათაც ორი და ორს და მამაოჩვენოს ასწავლიან და წასაკითხად მარტო წმ. მოციქულთა ცხოვრებას აჩეჩებენ ხელში. ბიბლიოთეკაში ვერას დროს ვერ ჰნახავთ ბაზრის ხალხთაგან ვისმეს, ან რომ შევიდეს, რით გაუმასპინძლდებიან, მათთვის შესაფერი წიგნები სრულებით არ მოიპოვება, რომ თუნდა საჭიროება იყოს, შეიძლებოდეს მოთხოვნილების დაკმაყოფილება. თეატრი? უნდა ვსთქვათ, რომ არც-ერთ პროვინციაში იმდენი სცენის მოყვარე არ მოიპოვებიან, რამდენიც თელავში. როცა გნებავთ თავისუფლად ჰმართავენ წარმოდგენას იმათ გასართობად და დროს გასატარებლად, ვისაც სრულიად არ ესაჭიროება და არც ეკარება. ჰმართავენ წარმოდგენებს და არც ერთხელ შესასვლელ ბილეთის ფასი ათ შაურზე ნაკლები არაა. ათი შაური კაი ფულია, სად შეუძლიან ნოქარს ან შეგირდს მისი გაღება. ამისთვის წარმოდგენებს არც ერთი მათგანი ვერ ესწრობა. აქამდე შეიძლება თეატრის უქონლობა აფერხებდა. თუმცა კლუბშიაც გამართულია თეატრის დარბაზი, მაგრამ იქ დიდი კაცები დაიარებიან და დაბალს იქ ადგილი არა აქვს. ეხლა მ. ბეჟანიშვილმა მოაწყო თეატრი, რომელშიაც შეიძლება სახალხო წარმოდგენების მართვა. მაშ რაღას უყურებენ?!

ამ თვის პირველ რიცხვებში საშინელი ამბავი მოვიდა ს. აღვანიდან. თუშები ვაჭრებს დასცემიან, აუკლიათ და გამოურეკიათო. ყველამ არა სასიამოვნოთ მიიღო ეს ამბავი, ზოგმა შიშის თვალით შეხედა და ბაქოს ამბები გაიხსენია. მაგრამ ნამდვილად სულ სხვა გამოვიდა. ამ სოფლის მოვაჭრე მედუქნეები ძლიერ ატყუებდნენ და მამასისხლად ჰყიდდნენ საქონელს მით მეტად ავიწროებდნენ თურმე მცხოვრებთ. ერთ მათგანს არ ეკმარა და არშიყობაც დაეწყო ქალებზე. რასაკვირველია, ასეთ საქციელს არავინ აპატიებდა, მით უმეტეს ნამუსიანი და ამაყი თუში და ამიტომ შეუდგენიათ განაჩენი, მოუწერინებიათ ყველასთვის ხელი და სისრულეშიაც მოუყვანიათ. მოვაჭრეები თელავში გამოუძევებიათ. რამდენიმე დღე ვადა მიუციათ, თქვენი ბარგი-ბარხანით აიყარენით აქედანაო.

დიმიტრაშვილი

ღამის დეპეშები

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“.

17 მარტი

პეტერბურგი, 17 მარტი. ის დეპეშა, ვითომც ჩინეთის ლიაოიანელი გუბერნატორი და მისი 32 ნათესავი ჯაშუშობას ეწეოდნენ რუსეთის წინააღმდეგ, საფუძველს მოკლებულია. რუსეთს არ ჰქონია საიდუმლო კავშირი ჩინეთის მოხელეებთან მაშ ჯარიში. პირიქით, იაპონელებმა ძალდატანებით დაიჭირეს ლიაოიანის გუბერნატორი. ყველას აწამებდნენ და მერმე დალნში გზავნიდნენ მხოლოდ იმიტომ, რომ ჩინეთის მოხელე ცილს დასწამებდა მათ; ამისთანა მოხელემ პირადი ინტერესებისთვის დააბეზღა გუბერნატორი, ვითომც ის რუსეთის აგენტი ყოფილიყოს. იაპონელებმა უკან დაიხიეს მთელი ფრონტით. ეტყობა, იაპონელები ჯარებს აწესრიგებენ და სურსათი და საომარი იარაღი მოაქვთ. იაპონელებმა მუკდენში განათავისუფლეს ყველა ექიმი და სანიტარები, რომელნიც არ იყვნენ საჭირო. განთავისუფლებულებმა 25 ვერსტი გაიარეს ფეხით. იაპონელებს უთქვამს მათთვის, რომ ჩვენ 5 წელი უნდა ვიომოთო. იაპონელებს განზრახვა ჰქონდათ, გარს შემორტყმოდნენ რუსის ჯარებს მუკდენთან, მაგრამ ვერ მოახერხეს და ეხლა ამ პლანს სხვაგან შეასრულებენ.

პეტერბურგი, 16 მარტი. საზღვარ გარეთ ხმა გავრცელდა, რუსეთის მთავრობამ შეიმუშავა ზავის პირობებიო; ამის შესახებ „პეტერბურგის სააგენტო“-ს მიანდეს განაცხადოს, რომ ეს ხმები ტყუილია.

სიტიაზა, 17 მარტი. საღამოს 9 საათი. ჩინელები ამბობენ, სიპინგაიდან ორმოც ვერსტის მანძილზე ჩრდილო-დასავლეთით იაპონელების კოლონა შევამჩნიეთ, რომელიც, ალბათ, რუსების გარს შემოვლას სცდილობსო. მეორე დღეა, რაც სთოვს.

ვაშინგტონი, 17 მარტი. გვაუწყებენ, რომ ერთმა ნეიტრალურმა სახელმწიფომ წინასწარი ცნობა მისცა იაპონიას, საჭიროა უკუაგდო შუამდგომლობა და პირისპირ მოელაპარაკო რუსეთსო.

ლონდონი, 16 მარტი („რეიტერი“). „ივნინგ სტენდერტ“-ი იუწყება, რომ იაპონიის ელჩმა აცნობა რუზველტს, რა პირობებით ჩამოაგდებენ იაპონელნი რუსეთთან ზავს; ელჩმა სთხოვა რუზველტს, ნუ აცნობებთ ამას რუსეთსო. ამ პირობებში კონტრიბუცია არაა ნახსენები. საფრანგეთის ელჩმა აცნობა რუზველტს, თუ რა აზრს ადგია რუსეთი, გაიგო აგრეთვე იაპონიის მთავრობის პირობები და ტელეგრაფით გადასცა ყველაფერი საფრანგეთს. შეერთებული შტატები მხოლოდ გადასცემენ შემუშავებულ პირობებს ამა თუ იმ მხარეს.

ბერლინი, 16 მარტი. ბიულოვმა სთქვა რეიხსტაგში, შარშან იმპერატორმა ვილჰელმმა გახუცხადა ისპანიის მეფეს, რომ გერმანიას აზრათ არ აქვს მაროკოს ტერიტორიის ხელში ჩაგდებაო. მაშასადამე ეხლანდელ მოგზაურობას ვილჰელმისას არ აქვს მიზნათ შეეხოს მაროკოს მთლიანობას, მაგრამ გერმანიამ მაინც უნდა დაიცვას თვისი ეკონომიური ინტერესები მაროკოში. აი ამაშია ვილჰელმის მოგზაურობის მიზანიო.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“

17 მარტი.

ბერლინი. რუსეთის კოპენჰაგენელი ელჩი ამ ჟამად ბერლინშია.

ვიგო. ისპანიის გემი შეხვდა პორტუგალიის ნაპირთან რუსის კრეისერს, რომელიც სამხრეთით მიდიოდა.

კოპენჰაგენი. აქაურმა უცხოეთის საქმეთა სამინისტრომ მიიღო იაპონიის მთავრობისაგან ნოტა, რომელიც ბალტიის ესკადრისთვის დანიის წყლებში ნახშირის მიტანას შეეხება. ნოტაში ნათქვამია, დანიის ქცევა არ შეეხამება დანიის მთავრობის განცხადებას ნეიტრალიტეტზე და ამიტომ ვითხოვთ, გვიზღოთ 60000 გირ. სტერლინგი ზარალიო.

პარიჟი. რუსის კოპენჰაგენლი ელჩი ამ ჟამად ბერლინშია.

სტამბოლი. გუშინ ხელი მოაწერეს ირადეზე, რომელიც უფლებას აძლევს პატრიარქს თავისთავად ჩააქროს ინციდენტი პატრიარქატის წევრებთან. საბერძნეთის მისია თითქოს ყურსაც არ იბერტყეს კრიტოსის მოძრაობაზე და პორტასაგან მიღებული ზომები აწუხებს კაცს. სულთნის ბრძანებით 60 მილიონი ფრანკი უნდა ისესხონ და ამ გზით აკმაყოფილებენ კონსტანს. ამ სესხის მეოთხედი ნაწილი საფრანგეთში ზარბაზნების და პატარა გემების, მათ რიცხვში ათი კანონერკები იქნება, საყიდლათაა გადადებული. ჰფიქრობენ, იმავ დროს გერმანიაში ისესხონ 50 მილიონი.

პარიზი. ვაჭრობის და მრეწველობის სამინისტრომ დაადგინა, გამართოს შემდეგი მსოფლიო გამოფენა პარიზში 1920 წ. მესამე რესპუბლიკის 50 წლის სადღესასწაულოთ.

ლონდონი. დუხობორების მეთაურმა ვერიგინმა გვაუწყა, რომ დუხობორები ბედნიერათ გრძნობენ თავს და კმაყოფილნი არიან ნორკტოუნის ახალშენით. მათ გადმოიღეს თანამედროვე მეთოდები მიწის დასამუშავებლად ქალები წინ წავიდნენ სუდჟერათ. დუხობორები ნამდვილ კანადელებათ იქცევიან.

ლონდონი. ლონდონში ხელი მოაწერეს ტრანსვაალის კონსტიტუციას.

ბელგრადი. გოფმარშალმა ჩალოკანტიჩმა რედაქტორი პავლევიჩი გაიწვია დუელში. დუელი მოხდა, მოპირდაპირებმა ესროლეს ერთი მეორეს რევოლვერები, მაგრამ ფუჭეთ.

პეტერბურგის ბირჟა 15 მარტს 1905 წ.

ლონდონისაზე 10 გირვ. ტ.	94,30
ბერლინისაზე 100 მარკაში	—
პარიზისაზე 100 ფრანკში	—
ლონდონისაზე ჩეკები	94,90
ბერლინისაზე „	46,30
პარიზისაზე	37,72½
ბირჟის დისკონტი	5¼—6¾%
4% სახელმწიფო რენტა	85½
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	—
4½% შინაგანი სესხი 1903 წ.	—
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ.	—
5% 1 შინ. სესხ. მომ. ბილ. 1864 წ.	385½
5% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ.	305
5% გირ. მომ. ფურც. სახ. სა.-მამ. ბან.	270
5% ობლ. ტფილ. საკრ. საზოგ.	—
5½% ობლ. იმავე საზოგად.	—
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზოგ.	—
5% გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ.	—
4½% გირავ. ფურც. ამავე ბანკისა	—
6% გირ. ფურ. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია	216½

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. გ. ჯაბადარი.**

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 ოქტომბრიდან.

„ფრჩხილებს“ გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა.

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 მარტო სამშაბათობით) საღამოს 5 ს. 21 წ. (6 ს. 19 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.;) 3) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 44 წ. (8 ს. 42 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.).

ბათუმს: 1) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 4 ს. 20 წ., (5 ს. 18 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

ერევანს და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 55 წ. (12 ს. 53 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 დილის 10 ს. (10 ს. 58 წ.).

ბორჯომს: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევის 2 ს. 26 წ. (3 ს. 24 წ.);. 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 3 ს. 03 წ. (4 ს., 01 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 56 წ. (6 ს. 54 წ.); 4 საქონ.-სამგზ. № 17 ღამის 11 ს. 38 წ. (12 ს. 36 წ.).

ბათუმიდან: 1) საფოსტო № 4 საღამოს 4 ს. 56 წ. (5 ს. 54 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 01 წ. (7 ს. 59 წ.).

ერევან-ყარსიდან: 1) საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 35 წ. (6 ს. 33 წ.); 2) საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8|7 დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ ნაშუაღამევის 1 ს. 15 წ. (2 ს. 13 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 52 წ. (8 ს. 50 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 40 წ. (1 ს. 38 წ.); 4) საქ.სამგზ. № 17 დილის 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.).

გ) ბათუმიდან გამოდის:

6 **ბაქო-ტფილისისაკენ:** 1) საფოსტო № 4 დილის 4 ს. 36 წ. (5 ს. 34 წ.); 2) სამგზავრო № საღამოს 6 ს. 05 წ. (7 ს. 03 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

1) სამგზავრო № 51 ღამის 12 ს. 05 წ. (1 ს. 03 წ.); 2) სამგზავრო № 53 დილის 8 ს. 25 წ. (9 ს. 23 წ.); 3) სამგზავრო № 55 ნაშუადღევის 2 ს. 20 წ. (3 ს. 18 წ.); 4) სამგზავრო № 57 საღამოს 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

სახალხო ბიბლიოთეკები

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა““

ტფილისში:

1. სასახლის ქუჩაზე, თავ.-აზნაურობის ქარვასლაში
   ღია არის დილით 10—2 საათ
   „ „ საღამ. 5—7 „
   კვირა-უქმე—დილ. 11—1 „
2. ნაძალადევში, ვოდოპროვოდის ქუჩა, № 131.
   ღია არის დილით 10—2 საათ.
   „ „ საღამ. 5—9 „
3. ოლგას ქუჩაზე, სახლი № 19.
   ღია არის დილით 10—2 საათ.
   „ „ საღამ. 5—8 „

განცხადებანი

◆ კბილებს ◆

ვიღებ, პლომბს ვუკეთებ, ვასუფთავებ, ვსვამ ახალ ხელოვნურ კბილებს და ვაშორებ ცუდ სუნს. გ. მ. იოხველი. მიხეილის ქ., № 108. გერმანელთა ტაძრის პირდაპირ. ხელ-მოკლეებს იაფად. (30—19)

პირველი საწყობი შეშისა

ცუდად დაწყობილი

გ. ი. ქურცხალიასი

კარგად დაწყობილ



ანდრეევის ქუჩა დომენის პირდაპირ. საკუთარის ტყიდან მიღებულია დიდ-ძალი შეშა ყოველგვარ ღირსებისა, რცხილისა, წიფლისა მუხისა, რთხმელისა და სხვა მუხის დიდი ბოძები. შეშის სახლში მიტანას ფირმა საკუთარ პოვოზკებით კისრულობს. შეშა იყიდება საჟნობითაც და ფუთობითაც. მყიდველს ნება აქვს შეშ[illegible]ქენი თავის თვალ წინ დაადგმევინოს, რადგანაც მყიდველები ბევრჯელ სტყუვდებიან დადგმულ საჟენიდან. მეორე განყოფილება იმყოფება ვერის ხიდის ყურთან.

90—22)

გამგე ნიკოლოზ პავლეს ძე კიკნაძე.

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მათი უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვის და წამლობით 1 მანათიდან 3-მდე.

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა»

კიოსკში

ლორის-მელვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონი- მ. ჯ. შვილისა—პოემა ბახნაჩი	— 10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	— 50
ბნელო, მოთხრობა—მელანიასი	— 20
ალ. ყაზბეგის I, ტომი	1 50
II და III ტომი თითო	1 —
ი, ჭავჭავაძის I ტომი	— 70
იგივე II და III ტომი თითო	— 60
იგივე IV ტ. ორ წიგნათ	— 80
სოფლის კუნწულა, დ. მაჩხანელისა	— 10
სიბრძნე-სიცრუე—საბა სულხან ორბელიანისა	— 40
აკაკი წერეთლის I და II ტ. თითო	— 60
რაფ. ერისთავის I ტომი	— 60
საქართველოს წარსული დრო—პოტტოსი	— 20
აივენგო რომანი—ვალტერ სკოტისა	— 55
სიბრძნე ბალავარისა	— 30
აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში	— 10
ღვინის დაყენება, პროფ. გ. პეტრიაშვილისა	1 50

კბილის პასტა

ვისბადენის წყაროს მასალისაგან

№ 4711

ეს ბუნებრივი საშუალებაა **კბილების** საწმენდად, რომელიც ექიმებმა საუკეთესოდ სცნეს. ეს საშუალება შეიცავს ყველა იმ თვისებას, რაც საჭიროა კბილებისა და პირის მოსავლელად. იგი ახალი გამოგონებაა თანამედროვე მეცნიერებისა და კბილის საშუალებათა შორის ამისთანა სხვა არ მოიპოვება.

ერთად-ერთი ფაბრიკანტი

ფერდ. მიულგენსი

კელნი და რიგა.

მოიპოვება ყველა აფთიაქსა საპირფარეშო და სააფთიაქო მაღაზიებში.

(5—მც.—4)

---

*) ვბეჭდავთ ამ წერილი თავ. ერისთავის თხოვნის თანახმად; დეპუტაციის წამოსვლა თავ. ერისთავმა მართლა არ იცოდა და ამის გამო მისი გაკიცხვა უსამართლობა იქმნება. **რედ.**

Доз. цен. Тифлисъ, 17 Марть 1905 г.

Электропеч. груз. изд. т—ва. ელექტრონის სტამბა წიგ. გამომ. ამხ—ბ.